ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პოლიტიკის მეცნიერების მიმართულება

სალომე არაბული

პატიმრები და საარჩევნო პროცესი თანამედროვე საქართველოში

ნაშრომი შესრულებულია პოლიტიკის მეცნიერების
ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: სანდრო ტაბატაძე
პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი
მოწვეული ლექტორი

თბილისი

2023

ანოტაცია

საბაკალავრო ნაშრომი იკვლევს პატიმართა როლს საარჩევნო პროცესებში საქართველოში. ნაშრომის მიზანია შესწავლილ იქნას სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი პატიმრების წვლილი პოლიტიკურ არჩევნებში და, ამასთანავე, გამოვლენილ იქნას პოლიტიკური ელიტების გავლენები წინასაარჩევნოდ, ზემოთხსენებულ მოწყვლად ჯგუფზე. კვლევის ფარგლებში გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდები, კონკრეტულად კი ჩატარებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუები. გარდა ამისა, კვლევის პროცესში გაანალიზებულ და დამუშავებულ იქნა აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული დოკუმენტები და ანგარიშები. კვლევა ცდილობს პატრიმონიალური და ნეოპატრიმონიალური თეორიების საფუძველზე დაამტკიცოს დაშვება, რომ პოლიტიკური კრიზისების დროს წარმოიქმნება იერარქიული, ელიტისტური, არაფორმალური ურთიერთობები, რომლებიც ემსახურება იერარქიის სათავეში მყოფთა ძალაუფლების შენარჩუნებას. გამომდინარე აქედან, ნაშრომი კონცენტრირებულია პატრიმონიალურ ურთიერთობაში მყოფ ჯგუფებზე, კერძოდ, მმართველ ელიტასა და პატიმრებზე და მათ შორის არსებულ დამაკავშირებელ რგოლზე და ურთიერთობის კორელაციის ხასიათზე. აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს სიახლეს, გამომდინარე იქიდან, რომ საკითხის გარშემო ქართულ რეალობაში არ არსებობს საკმარისი კვლევა თუ აკადემიური წყაროები. შესაბამისად, საბაკალავრო კვლევა წარმოადგენს მცდელობას შეიტანოს სიახლე და შეავსოს არსებული სიცარიელე აკადემიურ სფეროში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: პატიმრები, არჩევნები, მმართველი ელიტა, სასჯელაღსრულებითი დაწესებულება, კრიმინალური სუბკულტურა, ნეოპატრიმონიალიზმი, პატრიმონიალიზმი, საქართველო.

სარჩევი

შესავალი..... 4

I თავი. პოლიტიკური ელიტების გავლენა ინტერეს-ჯგუფებზე: თეორიული მიმოხილვა 11

1.1პოლიტიკური ელიტა და საარჩევნო პროცესზე მისი ზემოქმედების ამხსნელი თეორიები.....11

1.2 წინასაარჩევნო ზეწოლა პატიმრებზე, როგორც ძალაუფლების განხორციელებისა და განმტკიცების მექანიზმები: თეორიული მიმოხილვა 15

1.3 პატიმართა ხმის მიცემის უფლების ლეგიტიმურობის საკითხი 18

თავი II. საქართველოს საარჩევნო კოდექსის და არჩევნების შედეგების ანალიზი: ფოკუსი პატიმრებზე..... 24

2.1 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული არჩევნების შედეგების ანალიზი 24

2.2 სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშების ანალიზი 27

თავი III: პატიმრების როლი საარჩევნო პროცესში: აქტორების პოზიციები..... 32

3.1. სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი.....32

3.2. ყოფილ პატიმრებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი.....34

3.3. სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ინტერვიუების ანალიზი 35

3.4. საქართველოს სახალხო დამცველებთან ჩატარებული ინტერვიუებს ანალიზი 37

დასკვნა 39

გამოყენებული ლიტერატურა 42

დანართი..... 45

შესავალი

პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოშობის დღიდან სახელმწიფოთა მმართველობითი სისტემები მუდმივ განვითარებასა და ტრანსფორმაციას განიცდიან (ლეველენი, 2003). მასთან ერთად, საუკუნეების განმავლობაში საზოგადოებასა და მმართველ პოლიტიკურ ელიტებს შორის ურთიერთქმედების ხასიათი იცვლება და იხვეწება. სახელმწიფოსა და მოქალაქეებს შორის ურთიერთობისა და ზემოქმედების საუკეთესო ბალანსი სავალდებულო იურიდიული ნორმებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციით (The Foundation of International Human Rights Law, 1948) იქნა გამყარებული. დღევანდელი განვითარებული დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი ბირთვი ინდივიდი და მისი უფლებებია. წარმომადგენლობითობა, ანუ საზოგადოებრივი ნების არტიკულირების პრინციპი სწორედ ინდივიდთა უფლებების დაცვასა და ადამიანის, როგორც უმაღლესი ღირებულების გათვალისწინებას ეყრდნობა (ხუბუა, 2015). ამ უკანასკნელის ფუნდამენტს დემოკრატია და მისი ღირებულებები წარმოადგენს, რომლის ერთ-ერთი ფუნდამენტური საყრდენი კონკურენტულ საარჩევნო გარემოში წარმოებული თავისუფალი არჩევნებია. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო კონსტიტუციით არის დეკლარირებული, როგორც დემოკრატიული სახელმწიფო, სადაც ძალაუფლების წყარო ხალხია (საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 3.), თანამედროვე ქართულ რეალობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად ხელისუფლების მოთოკვისა და კონკურენტული არჩევნების საკითხი კვლავ რჩება, რასაც სახელმწიფოში არსებული პოლიტიკური სისტემის კრიზისული მდგომარეობა განაპირობებს. სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები ის მექანიზმია, რომლის საშუალებითაც ადამიანები არა მარტო საკუთარ თავისუფალ პოლიტიკურ ნებას გამოხატავენ, არამედ ესაა გზა და ბერკეტი მოქალაქეთა ხელში, პოლიტიკურ სუბიექტებს პასუხისმგებლობანი დააკისრონ (Dahl, 1971). იმისათვის, რომ არჩევნები აღიარებულ იქნას როგორც სანდო და ლეგიტიმური, მასში ასახულ უნდა იქნეს მოქალაქეთა დამოუკიდებელი და მმართველი ძალის ზეგავლენისაგან თავისუფალი არჩევანი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველო განვითარებადი სახელმწიფოა და მას ახასიათებს თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე დაბრკოლებები და პოლიტიკური

ჩავარდნები (Linz, 1990). ხსენებული პოლიტიკური ჩავარდნები საქართველოში პოლიტიკური ელიტის მხრიდან მოქალაქეებზე, განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებზე გავლენის მოხდენაში ვლინდება, რასაკვირველია ,აღნიშნული წინასაარჩევნოდ მეტად ინტენსიური ხდება (Levitsky & way, 2002).

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებულია არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მიუხედავად ამისა, აღნიშნულთან დაკავშირებით თავს იჩენს სუსტი ავტოკრატიის, კლიენტელიზმისა (Weber, 1922) და ელიტიზმის ნიშნები, რაც ზემოთხსემენებული სამართლებრივი ნორმის უზრუნველყოფას აფერხებს. მოცემული თანდაყოლილი უფლება, რიგ ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც, გარკვეულწილად ხელყოფილია (სახალხო დამცველის ანგარიში 2003, 2006, 2017). ამ უკანასკნელის ერთ-ერთი დადასტურება პენიტენციურ დაწესებულებებში მყოფი მსჯავრდებულების საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ხმის მიცემის უფლების შეზღუდვასა და ხელყოფაში ვლინდება (სახალხო დამცველის ანგარიში, 2012).

სამართლებრივ სახელმწიფოში თამაშის წესები ადამიანის უფლებების დაცვის ეგიდით დგინდება, რომელიც ღია და ყველასათვის ცნობილია. გარდა ამისა, სახელმწიფოს სრულყოფილი ფუნქციონირება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მისი ცალკეული ელემენტების სიჯანსაღეზე (Spencer, 1876). შესაბამისად, აღნიშნული საკვლევი საკითხი **აქტუალურია** იმდენად, რამდენადაც ფოკუსირებულია დემოკრატიისა და სამართლიანობის შესწავლასა და გაანალიზებაზე, არჩევნების თვალსაზრისით. არჩევნები და მისი სამართლიანობა ყურადსაღები და აქტუალური თემაა, როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთაც. შეიძლება ითქვას, რომ გლობალურიც კი იმდენად, რამდენადაც ეხება სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ბალანსის საკითხს. შესაბამისად, აღნიშუნლი თემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საქართველოს თანამედროვე რეალობაში, ვინაიდან დემოკრატია არ არის მყარად კონსოლიდირებული და მასთან ერთად თანაარსებობს ავტოკრატიის გარკვეული ელემენტები (Tabatadze, Dundua, Chkuaseli, 2022). თუკი მმართველი ელიტა ზეწოლას ახდენს საზოგადოების რომელიმე კონკრეტულ ჯგუფზე, ამ შემთხვევაში პატიმრებზე, ამით არამარტო იმ ჯგუფის ფუნდამენტურ უფლებებს არღვევს, არამედ სრულიად საზოგადოების საერთო ნებაზეც აისახება (Levitsky, Way, 2010). გარდა ამისა,

აღსანიშნავია ასევე ისიც, რომ პენიტენციური დაწესებულებების დანიშნულება და ფუნქცია არის მსჯავრდებულთა არა დროებით მოწყვეტა საზოგადოებისგან, არამედ მათი გამოსწორება და რესოციალიზაციაზე ზრუნვა (Martinson, 1970). ხოლო მაშინ, როდესაც პატიმრები ექცევიან პოლიტიკური ელიტის ზეგავლენის ქვეშ და იწყებენ ხმებით „ვაჭრობას“, ვიღებთ კრიმინალთა მუდმივ ჯგუფს, რომელთაც არ აქვთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის განცდა. შესაბამისად, ისინი მუდმივად რჩებიან საზოგადოებისაგან გარიყულნი (Foucault, 1975). აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩემი საკვლევი თემის აქტუალობას იმდენად, რამდენადაც საკითხი ეხება მთლიანი ნაწილის (სახელმწიფოს) შემადგენელი ელემენტის (სასჯელაღსრულებითი დაწესებულების) დისფუნქციას, რომელიც მთლიანის გამართულად ფუნქციონირებას შეუძლებელს ხდის. ჩემი საკვლევი თემა აღნიშნული ქვაკუთხედის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წახნაგია ევროკავშირთან ინტეგრაციისა და დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობაში. აღსანიშნავია ისიც, რომ მიუხედავად არჩევნების ლეგიტიმურობასთან დაკავშირებული მუდმივი ეჭვებისა და მოწყვლად ჯგუფებზე პოლიტიკური ელიტის მხრიდან გავლენების დამყარების ფაქტებისა, საკითხის ირგვლიც კვლევები შესამჩნევად მცირეა, შესაბამისად, ნაშრომი მოცემულ სფეროში **სიხალეს** წარმოადგენს.

საკვლევი თემის აქტუალობიდან გამომდინარე კვლევის **მიზანია** საქართველოს მაგალითზე საარჩევნო პროცესში პატიმრების როლის შესწავლა, კონსტიტუციაზე დაყრდნობით. კვლევის მიზანს, ასევე, წარმოადგენს- რა წილი მიუძღვით სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს მმართველი პარტიის გამარჯვებაში და რამდენად თავისუფალია მათი პოლიტიკური არჩევანი. შესაბამისად, კვლევის **ამოცანებია** - 1. პოლიტიკურ ელიტებთან დაკავშირებული თეორიული მიმოხილვა; 2. აღნიშნული საკითხის ირგვლივ არსებული საკანონმდებლო ნორმების შესწავლა; 3.საქართველოში პატიმართა, როგორც ელექტორატის, მობილიზების შესახებ არსებული პირველადი და მეორეული ინფორმაციის გაანალიზება; 4. საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში პატიმრების როლის შესწავლა და მიღებული შედეგების, მიგნებების გაანალიზება. კვლევის **ობიექტს** წარმოადგენს პატიმართა ჯგუფი, მათი ოჯახის წევრები და პენიტენციურ დაწესებულების ადმინისტრაციის

თანამშრომლები. კვლევის ფოკუსში ასევე ხვდებიან ექსპერტები, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში მომუშავე პირები და იურისტები.

ნაშრომის ფარგლებში პასუხი გაეცა შემდეგ **საკვლევ კითხვებს**: 1.რა თავისებურებებით ხასიათდება პატიმრების ჩართულობა საარჩევნო პროცესში თანამედროვე საქართველოში?; 2. რა ფაქტორები განაპირობებს პატიმრების საარჩევნო პროცესში ჩართულობას და მის ხასიათს თანამედროვე საქართველოში?; **დაშვებას** რომელიც კვლევის პროცესში დადასტურდება ან უარყოფილი იქნება, წარმოადგენს:

- თანამედროვე საქართველოში საარჩევნო პროცესში პატიმართა ჩართულობა ხასიათდება მმართველი პარტიის მიმართ მხარდაჭერის ტენდენციურობით.
- თანამედროვე საქართველოს საარჩევნო პროცესში პატიმართა ჩართულობა ხასიათდება მმართველი პარტიის, ციხის ადმინისტრაციის და კრიმინალური ავტორიტეტების (იერარქიული ტრიადის) ზეგავლენით.

ცვლადების **ოპრეაციონალიზაცია** და **კონცეპტუალიზაციის** საკითხთან დაკავშირებით აღსანიშნავია კრიმინალური სუბკულტურები, რომლებიც წარმოადგენენ არაფორმალურ ურთიერთობებს, სადაც იერარქიის სათავეში კრიმინალები არიან (ლობჟანიძე, ღლონტი, 2004). აღსანიშნავია ასევე ნეოპატრიმონიალიზმი, რომელიც ურთიერთობათა კატეგორიაა, რომელიც პოლიტიკური კრიზისებისა და ჩავარდნების დროს იჩენს თავს, სადაც ყალიბდება დომინაცია-სუბორდინაციის ტიპის კავშირები (Weber, 1922). ხოლო, პოლიტიკური ელიტაში იგულისხმება მმართველი პარტიის წარმომადგენელი პოლიტიკური სუბიექტები (ჰეივუდი, 2007).

აღნიშნული კვლევის **თეორიული ჩარჩოს** ფარგლებში გამოყენებულია მაქს ვებერის მიერ შემოთავაზებულ პატრიმონიალიზმის და ნეოპატრიმონიალიზმის თეორიებს. აღნიშნული თეორიები ასახავს სახელმწიფოს შიდა მდგომარეობას, სადაც ელიტისტური ურთიერთობებზეა დამყარებული ჯგუფთა შორის კავშირები, თუმცა სხვა ავტორებისაგან გასხვავებით ვებერი აღნიშნულ კავშირების არა ბუნებრივ, არამედ პოლიტიკური ჩავარდნების თანმდევ მუტაციად განიხილავს. ავტორი თავის ერთ-ერთ ფუნდამენტურ ნაშრომში „ეკონომიკა და საზოგადოება“ (1922), იყენებს

ტერმინს პატრიმონიალიზმს, სადაც იგულისხმება ძალაუფლების კლიენტელისტური გამოყენება ანუ იერარქიული, პატრონისა და კლიენტის ურთიერთობის მსგავსი ფორმები, სადაც ე.წ. პატრონი წოდებრივი ორგანიზების სათავეშია და აღნიშნულ პოზიციას საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს და ამისათვის არ ერიდება ბენეფიციების გაცემას. აღსანიშნავია ასევე მაქს ვებერის ნეოპატრიმონიალიზმი, იგივე თანამედროვე პატრიმონიალიზმი, რომელიც წარმოიქმნება სახელმწიფოს მოდერნიზაციის პროცესში ე.წ. პოლიტიკური ჩავარდნისას და წარმოადგენს ტრადიციონალიზმის და მოდერნული სახელმწიფოს ელემენტების ურთიერთქმედებას. მაქს ვებერი ნეოპატრიმონიალური სისტემის ფუნქციონირების სამ პრინციპს გამოყოფდა, ესენია: 1. არსებობს პოლიტიკური ცენტრი, რომელიც მკაფიოდაა გამიჯნული პერიფერიებისაგან, ხოლო სოციალური, ეკონომიკური და სხვა მნიშვნელოვანი რესურსები თავმოყრილია ცენტრში; 2. მმართველი ელიტები სახელმწიფოს მართავენ ისე, როგორც საკუთარ მფლობელობაში არსებულ საკუთრებას; 3. აღნიშნულ სისტემაში პოლიტიკა ხორციელდება კლიენტერულ, კლანურ და ნათესაურ კავშირებზე დაყრდნობით. ვებერის მიხედვით, პოლიტიკური სისტემების ტრანსფორმაციისას დემოკრატიასთან ერთად თანაარსებობს ავტორიტარული ნიშნებიც, სადაც პოლიტიკური ძალაუფლების მქონე მმართველი ძალა ითვისებს, როგორც მატერიალურ, ისე სხვა არსებულ რესურსებს და აღნიშნულს იყენებს კლიენტელისტული ურთიერთობების დახმარებით პოლიტიკური არჩევნების დროს ხმების გენერირებისათვის. მაქს ვებერი აღნიშნული თეორიების ჩამოყალიბებისას, ასევე აღნიშნავს ბიუროკრატიული აპარატის მნიშვნელობასაც, რაც ჩემს კვლევით საკითხშიც ასევე იკვეთება (Weber, 1922).

აღნიშნულ ნაშრომში გამოყენებულია **თვისებრივი კვლევის** მეთოდები, გამომდინარე მისი მოქნილი ხასიათიდან, იძლევა შესაძლებლობას, მეტად სიღრმისეულად იქნას გაანალიზებული რესპონდენტთა მოსაზრებები. კვლევის ფარგლებში ჩატარებულია **ნახევრად-სტრუქტურირებული** ინტერვიუები, რაც შესაძლებლობას იძლევა წინასწარ განსაზღვრულ თემებთან ერთად, რესპონდენტის პასუხებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში დასმული ყოფილიყო არაწინასწარ განზრახული კითხვებიც. კვლევის ფარგლებში ინტერვიუ ჩატარდა 14

ადამიანთან, რომელთა ნაწილიც წარმოადგენს ყოფილ პატიმარს, პატიმართა ოჯახის წევრს, სახალხო დამცველის ინსტიტუტის წარმომადგენელს და სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომელს. ნაშრომში გამოყენებულია არაერთი წყარო თუ თეორია, გაანალიზებულია პირველადი და მეორეული წყაროები, რომელთა დახმარებითაც მკითხველისათვის უფრო გასაგები და სანდო ხდება კვლევა. აღნიშნული კვლევის პროცესში გამოყენებულია საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული მონაცემები და ანგარიშები, გამოყენებულია საქართველოს საარჩევნო კოდექსი და სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები. შესაბამისად, კვლევის პროცესში გამოყენებულია ინტერვიუს 4 გზამკვლევი (დანართი N1,N2,N3, და N4). ზემოთხსენებული შესწავლილი ნაშრომები, სტატიები თუ ანგარიშები გამოქვეყნებულია ისეთ ონლაინ პლატფორმებზე, როგორებიცაა: Google Scholar, Researchgate, ომბუდსმენის ოფიციალური ვებ-გვერდი.

კვლევის ფარგლებში გამოყენებულ იქნა არაალბათური მიზნობრივი **შერჩევა**, თოვლის გუნდას პრინციპზე დაყრდნობით. ინტერვიუები ჩატარდა 4 ეტაპად და მოხდა, როგორც სატელეფონო, ასევე პირისპირი ინტერვიუს ჩატარება, 2023 წლის აპრილ-ივნისის პერიოდში. აღსანიშნავია, რომ კვლევა ჩატარდა ყველანაირი ეთიკის ნორმის დაცვით, რესპონდენტები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი აუდიო ჩანაწერთან დაკავშირებით, ტექსტში დაფარულია რესპონდენტთა ვინაობა.

კვლევის პირველ თავში განხილულია **ლიტერატურის მიმოხილვა**, რომელიც საკვლევი თემის ირგვლივ არსებობს. უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია, ჯონ ლოკის, ჟ.ჟ. რუსოს, თომას ჰობსის, მონტესკიეს და ალ. ამილახვარის სოციალური კონტრაქტის თეორიები, რომლებიც დამეხმარა ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების თვალსაზრისით გაანალიზებული ყოფილიყო საკვლევი თემა (Hobbes, 1651; Locke, 1689; Montesqueiu, 1748; Russeau,1762; ამილახვარი, 1780;). ყურადსაღებია აგრეთვე გაეტანო მოსკასა და ვილფრედო პარეტოს ნაშრომები, რომლებიც ხსნიან მმართველთა და მართულთ შორის ურთიერთობების ხასიათს (Mosca, 1939; Pareto, 1968). გარდა აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია აგრეთვე საქართველოს სახალხო დამცველთა ყოველწლიური ანგარიშები, რომელზე დაყრდნობითაც გაანალიზებულ იქნა პენიტენციურ დაწებულებებში არსებული მდგომარეობა და არაფორმალური

ურთიერთობების კორელაცია მმართველ ელიტებთან (საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები). მნიშვნელოვანი ნაშრომია ასევე ლოპეზ-გუერას კვლევა „Democracy and Disenfranchisement: The Morality of Electoral Exclusions“, სადაც განხილულია დემოკრატიასა და პატიმრების ხმის მიცემის უფლების კორელაცია. ყოველივე ზემოაღნიშნული და სხვა ნაშრომები დამეხმარა უკეთ შემესწავლა და გამეანალიზებინა მოცემული საკითხი.

I თავი. პოლიტიკური ელიტების გავლენა ინტერეს-ჯგუფებზე: თეორიული მიმოხილვა

მოცემულ თავში განხილულია ის თეორიები, რომლებიც მეტად გასაგებს ხდის სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის ბალანსის თავისებურების განმსაზღვრელ ფაქტორებს. გარდა ამისა, საუბარია ადამიანთა ისეთი ფუნდამდენტური უფლებების პრაქტიკაზე, როგორიც არის- ხმის მიცემის უფლება. ეს უკანასკნელი მთავარი წახნაგია საკვლევი ქვაკუთხედისა და, შესაბამისად, მოცემულ თავში აქცენტი სწორედ პოლიტიკურ არჩევნებსა და ზემოთხსენებულ საკითხზე იქნა გაკეთებული.

1.1პოლიტიკური ელიტა და საარჩევნო პროცესზე მისი ზემოქმედების ამხსნელი თეორიები

ადამიანი სახელმწიფოში და სახელმწიფო ადამიანში, პირადისა და საჯაროს გამმიჯნავი ხაზი სად უნდა გადიოდეს სახელმწიფოს არსებობის დღიდან მისი თანმდევი საკითხია. აღნიშნული საკითხის ირგვლივ დავა-კამათი ყოველთვის აქტუალური იყო. რიგი სამეცნიერო კვლევების კვალდაკვალ კი, მსოფლიოს განვითარებულ ნაწილში სულ უფრო მატულობს სახელმწიფოს შემაკავებელი თუ მაკონტროლებელი მექანიზმების რაოდენობა და მასთან ერთად, აღნიშნული მექანიზმების ხარისხიც (Fukuyama, 2014). ხოლო, აღნიშნულის საპირწონედ განვითარებად სამყაროში კვლავ სახეზეა გაცხოველებული ბრძოლა თავისუფლებებისა თუ უფლებების დაცვის მიზნით. თუმცა, როგორც უკვე აღვნიშნე, სახელმწიფო და მასში არსებული პოლიტიკური სუბიექტები, მათ შორის პოლიტიკური ელიტები მუდამ ცდილობენ, ამა თუ იმ მიზნის განსახორციელებლად, გაზარდონ კუთვნილი ძალაუფლების არეალი და მეტად გაამყარონ მათ ხელთ არსებული ძალაუფლების სადავეები თუ დაკავებული პოზიციები (Machiavelli, 1532). როდესაც საუბარია სახელმწიფოს გაზრდილ გავლენებზე, მოქალაქეთა თავისუფლებებისა და უფლებების შეკვეცის საშიშროება ჩნდება (Hayek,1944) .

მაქს ვებერის (1816) მიერ შემოთავაზებულ პატრიმონიალიზმის და ნეოპატრიმონიალიზმის თეორიები მეტად მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ტერმინებით აღწერილია იერარქიული, ელიტისტური ურთიერთობები,

რომელიც სხვა თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით არა ბუნებრივ და თანმდევ პროცესად, არამედ პოლიტიკური კრიზისებისა და ჩავარდნების თანმხლებად არის განიხილული. ზემოთხსენებული ვებერისეული კავშირების წოდებრივი ორგანიზების სათავეში ე.წ. პატრონია მოთავსებული და აღნიშნულ პოზიციას საკუთარი მიზნების მისაღწევად იყენებს, რისთვისაც არ ერიდება ბენეფიციების გაცემას (Weber, 1922).

მაქს ვებერის მიერ აღწერილი ურთიერთობათა ინსტიტუციონალიზებული სისტემა ახალი დემოკრატიებისათვის არის მეტად დამახასიათებელი, სადაც დემოკრატია შედარებით სუსტადაა განვითარებული. შესაბამისად, ასეთ სახელმწიფოებში არამხოლოდ დემოკრატიაა სუსტი და რიგ შემთხვევებში დამარცხებული, არამედ სამოქალაქო საზოგადოებაც, რომელსაც არ აქვს მკაფიოდ განსაზღვრული მიზნები და გათვითცნობიერებული კუთვნილი უფლებები. სწორედ ამ უკანასკნელის გამოა ასე მერყევი მსგავსი საზოგადოება და შესაბამისად, პოლიტიკური სისტემაც კლანური კავშირებით გაჯერებული და ნაკლებად ქმედუნარიანი. ვებერისაგან გასნხვავებით, ნაწილი თეორეტიკოსებისა სახელმწიფოს ელიტისტურ კავშირებს მმართველ და მართულ კლასებს შორის ბუნებრივად მიიჩნევს.

გაეტანო მოსკა წიგნში „ მმართველობის თეორია და საპარლამენტო მმართველობა“ (1884) და „ მმართველი კლასი“ (1839) გვთავაზობს თეორიას ელიტიზმის შესახებ, აღნიშნული თეორიის მიხედვით მოსკა აყალიბებს აზრს, რომ საზოგადოება დაყოფილია მმართველთა და მართულთა კლასებად. მათ შორის ურთიერთქმედება და ბალანსი განაპირობებს პოლიტიკური რეჟიმების და მმართველობის სახესხვაობებს. მოსკა ამბობს, რომ შეუძლებელია სახელმწიფოს მართავდეს ერთი ან ყველა ადამიანი ერთად, არამედ სახელმწიფოს მართავენ ელიტები, რომლებიც საკუთარ მიზნებსა და მისწრაფებებს სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით ახორციელებენ და აღწევენ. მოსკას ელიტისტური თეორია, ვფიქრობ, ნათლად ასახავს იმ რეალობას, რაზეც კვლევაა ფოკუსირებული, კერძოდ, პატიმრები წარმოადგენენ სწორედ იმ სოციალურ კლასს, რომელთაც არ აქვთ უნარი და ფუფუნება იმისა, რომ მართონ საკუთარი თავები და წინასაარჩევნო პერიოდში მათ ეძლევათ შესაძლებლობა პოლიტიკურ ელიტასთან „ივაჭრონ“ საკუთარი ხმების საფუძველზე (Mosca 1884, Mosca 1939).

გაეტანო მოსკას მსგავსად, ვილფრედო პარეტოც ელიტების თეორიას ავითარებს და აღნიშნავს, რომ პოლიტიკური ძალაუფლების მქონე კლასი- ელიტა, ძალადობისა თუ სპეკულაციების დახმარებით მუდმივად ცდილობს გაიხანგრძლივოს ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდი. ვილფრედო პარეტო (1968) თავის თეორიებში საზოგადოების იერარქიულობას პირამიდის სახით წარმოგვიდგენს, რომლის ქიმზეც პოლიტიკური ძალაუფლების მქონე ელიტაა მოქცეული და ზემოდან ქვემოთ ხორციელდება მართვა. აღნიშნული პირამიდის ფსკერზე წარმოდგენილია მოწყვლადი ჯგუფები. ერთ-ერთ ასეთ სოციალურ ჯგუფს წარმოადგენენ პატიმრები იმდენად, რამდენადაც საზოგადოების უუფლებო და პოლიტიკურად უუნარო ჯგუფია. შესაბამისად, ძალაუფლების მქონე ჯგუფებისთვის პატიმართა წრე ყველაზე ადვილად მანიპულირებადია (Pareto, 1968).

ვილფრედო პარეტოც და გაეტანო მოსკაც, მეტ-ნაკლებად მსგავს თეორიებს გვთავაზობენ, საზოგადოებასა და პოლიტიკურ ელიტას შორის არსებული ურთიერთობების აღწერისა და ურთიერთქმედების კუთხით. თუმცა, ვებერისაგან მეტად განსხვავებულია მათი შეხედულებები, მოცემული თეორიებით წარმოდგენილ კლანურ კავშირებს და მის ხასიათს პოლიტიკური კრიზისისა და ტრანზიციის თანმდევ ნაკლოვანებებთან არ აიგივებენ. რაც წინააღმდეგობაშია შუა საუკუნეების მოაზროვნეების მიერ განვითარებულ თეორიებთან, კერძოდ, ჯონ ლოკის სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზებსა და იდეებთან (Locke 1690). გარდა ამისა, ზემოქმედება და გავლენების განსამტკიცებლად წარმოებული არადემოკრატიული ხერხებიც მეტ-ნაკლებად ნორმატიულია, რაც საერთაშორისო სამართლის დღევანდელ სავალდებულო კონვენციებსაც ეწინააღმდეგება.

სახელმწიფო, როგორც ლეგიტიმური ძალაუფლების მქონე სუბიექტი, რომელსაც თან სდევს ძალაუფლება, ჯერ კიდევ მე-17 საუკუნეში მოღვაწე, თომას ჰობსის დაკვირვებისა და ინტერესის საგანი გახლდათ. ავტორმა კუთვნილ ნაშრომებში განავითარა თეორიები აღნიშნულთან დაკავშირებით და აღნიშნა რა, რომ ძალაუფლება ესაა უნარი და შესაძლებლობა გავლენა მოახდინო ე.წ. "ურჩ სუბიექტებზე" ანუ განახორციელო ზეწოლა. "ურჩი სუბიექტები" იმდენად, რამდენადაც თომას ჰობსი ადამიანთა რაობაზე ნაკლებად ოპტიმისტური ხედვებისა იყო და ფიქრობდა, რომ

ადამიანები, მათი გონიერების მიუხედავად, არარაციონალური, ხარბი და მშიშარა არსებები არიან (Hobbes, 1651). გარკვეულწილად ჰობსის, მოსკასა და პარეტოს თეორიები იზიარებენ საერთო აზრს, რომ სახელმწიფოს მართვა ზემოდან ქვემოთ, ზეგავლენისა და მორჩილების, დომინაცია-სუბორდინაციის გზით ხორციელდება.

თომას ჰობსის მიერ შემოთავაზებული თეორია მეტად პესიმისტურ დამოკიდებულებას გამოხატავს ადამიანებთან დაკავშირებით. სწორედ ამ უკანასკნელის საფუძველზე ცდილობს ჰობსი გაამართლოს სახელწმიფოს მხრიდან ძალადობისა და ზეგავლენის განხორციელების აუცილებლობა. გარდა ამისა, ჰობსის თეორია წინააღმდეგობრივია იმედენად, რამდენადაც მმართველი ელიტის წარმომადგენლების ირაციონალურობაც დასაშვებია მათი ადამიანური ნაკლოვანებებიდან გამომდინარე. შესაბამისად, ჩნდება საჭიროება იმისა, რომ არსებობდეს თავდაცვის მექანიზმი მოწყვლადი ჯგუფებისათვის და მმართველთა მაკონტროლებელი ბერკეტი მათი ნაკლოვანებებიდან გამომდინარე. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფას ჟან-ჟაკ რუსო სოციალური კონტრაქტის თეორიით შეეცადა, რის საფუძველზეც მოქალაქეებს აქვთ უფლება საერთო ნების დარღვევის შემთხვევაში გაწყვიტონ დადებული შეთანხმება სუვერენთან (Rousseau, 1762).

ჟან-ჟაკ რუსოს მსგავსად, შარლ ლუი მონტესკიეც საჭიროდ მიიჩნევდა მოქალაქეების უფლებების დასაცავად რიგი მექანიზმების არსებობას. ეს უკანასკნელი კი, მონტესკისათვის ძალაუფლების დანაწილებაა, უფრო კონკრეტულად კი პოლიტიკური ძალის გადანაწილება აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო შტოებზე. მხოლოდ ამ გზით წარმოედგინა ავტორს ტირანიის თავიდან არიდება და მოქალაქეთა თავისუფლებებისა და უფლებების შენარჩუნება იმდენად, რამდენადაც მონტესკიესეული სისტემა უზრუნველყოფს დაბალანსებულ ურთიერთობებს სხვადასხვა ჯგუფებს შორის (Montesquieu, 1748).

ევროპელ განმანათლებელთა შეხედულებები- საზოგადოების საერთო ნებისა და ხელისუფლების დანაწილების კონცეფცია, ახლოსაა მე-18 საუკუნეში მოღვაწე, ქართული პოლიტიკური ფილოსოფიის ერთ-ერთი ფუძემდებლის, ალექსანდრე ამილახვარის იდეებთან. ის ძალაუფლების დანაწილების აუცილებლობაზე საუბრობს და აღნიშნულ იდეას სწორედ შეუზღუდავი თვითმპყრობელური მმართველობის

საშიშროებანი უდევს საფუძვლად. ავტორის თანამედროვე საქართველოში არსებული პოლიტიკური, სოციალური თუ კულტურული კრიზისები იქცა ძალაუფლების გადანაწილების მთავარ შთაგონებად, რომელიც მიჩნეულია დღეს საზოგადოების უფლებებისა და თავისუფლებების უზრუნველყოფის ერთადერთ გზად (ამილახვარი,1780).

მიუხედავად იმისა, რომ ზემოთხსენებული თეორიების გამოჩენიდან მრავალმა წელმა განვლო, აღნიშნული იდეები დღესაც აქტუალური და პოპულარულია იმდენად, რამდენადაც განვითარებულ თუ განვითარებად სახელმწიფოებში პოლიტიკური ფიგურები იღწვიან ძალაუფლების გამყარებისაკენ, მიუხედავად პოლიტიკური რეჟიმისა. ნაკლებად, თუმცა დემოკრატიულ სახელმწიფოებშიც კი, მმართველი პოლიტიკური პარტიები მიდრეკილნი არიან მოახდინონ ძალაუფლების კონცენტრაცია მეტი კონტროლისა და ზეგავლენისათვის (Michels, 1915). ამ უკანასკნელის მთავარი გამოვლინება კი არჩევნებია, რა დროსაც განსაკუთრებით თვალსაჩინოა ელიტისტური, კლიენტელისტური და პატრიმონიალური ურთიერთობების პირამიდა (Ferguson, 1995).

1.2 წინასაარჩევნო ზეწოლა პატიმრებზე, როგორც ძალაუფლების განხორციელებისა და განმტკიცების მექანიზმები: თეორიული მიმოხილვა

ძალადობისა და ზეწოლის განსხვავებული გზები და მექანიზმები არსებობს და მათგან ფარული ზემოქმედება მეტად საინტერესოა. ამ უკანასკნელს პიტერ ბახრახმა და მორტონ ბარაცმა გადაწყვეტილების არმიღებაზე ზეგავლენა ანუ ძალაუფლების მეორე სახე უწოდეს, რასაც ნაშრომი " ძალაუფლების ორი სახე" მიუძღვნეს და აღნიშნეს, რომ ძალაუფლების სადავეებს ის ადამიანები ან ადამიანთა ჯგუფი ფლობს, რომელთაც აქვთ უნარი და შესაძლებლობა შექმნან ან გაამლიერონ უკვე არსებული ბარიერები და დაბრკოლებები საჯარო დონეზე (Bachrach & Barac,1962).

გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობის ხელყოფა, რასაკვირველია, მნიშველოვან ძალაუფლებას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი არჩევნების შეთხვევაში. თუმცა, ავტორები მხოლოდ აღწერით არიან დაკავებულნი და არ გვთავაზობენ მიზეზებს, რომელთაც სახელწმიფო მიჰყავთ ძალაუფლების ასეთ კონცენტრაციამდე.

ისინი ასევე არ საუბრობენ იმაზე თუ რა მექანიზმებითაა შესაძლებელი პრევენციული პოლიტიკის გატარება ან არსებულის შემთხვევაში მისი აღმოფხვრა. ესეც რომ არა, აღნიშნულ ნაშრომში ყურადღების მიღმაა დარჩენილი საკითხი, რომ მეორე სახის ძალაუფლებაში მნიშვნელოვანია პროცესებს მიღმა დარჩენილი ადამიანები თუ ადამიანთა ჯგუფი.

ბახრახისა და ბარაცისაგან განსხვავებულად საუბრობს შატშნაიდერი გადაწყვეტილების არმიღების პროცესებზე. ის აღნიშნავს, რომ გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენაში ძირითადად პოლიტიკურ პროცესებში ინტენსიურად ჩართული ელიტები თამაშობენ მნიშვნელოვან როლს და ამ სახის ძალაუფლებაზე საუბრისას სწორედ პოლიტიკური ელიტები არიან ყურადღების ცენტრში. თუმცა, აღნიშნულის საპირწონედ, გადაწყვეტილების არმიღების პროცესზე ზეგავლენის შემთხვევაში, მეტად საყურადღებოა პროცესებს მიღმა დარჩენილი ადამიანები და მათი ჯგუფები (Schatschneider, 1942).

ბახრახისა და ბარაცის მსგავსად, შატშნაიდერის მიერ შემოთავაზებული თეორია განიხილავს ადამიანთა მხოლოდ იმ კატეგორიას, რომელთაც გააჩნიათ ჩამოყალიბებული შეხედულებანი და წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტები, ერთადერთი პრობლემა კი მათზე პოლიტიკური ელიტების მხრიდან ზეწოლა და გადაწყევტილების მიღებაში ხელის შეშლაა. თუმცა, ავტორები არ საუბრობენ სახელმწიფოს მხრიდან ფარულ ძალადობაზე, რის საფუძველზეც შესაძლოა საზოგადოების შეხედულებები პოლიტიკური ელიტის მხრიდან იყოს ნაკარნახევი. ავტორები ასევე არ საუბრობენ იმ შესაძლო შემთხვევაზე, როდესაც საზოგადოებაში პოლიტიკური არასტაბილურობისა თუ კრიზისის ფონზე არ არსებობს მკაფიოდ განსაზღვრული შეხედულებები და საერთო ნება.

განხილულ თეორიებში არსებული დანაკლისის შევსება ვენს პეკარდმა (1960) სცადა. კერძოდ, ავტორი კუთვნილ ნაშრომში "ფარული მარწმუნებელნი" აღწერს თუ როგორ ახდენენ პოლიტიკური ელიტები ადამიანთა ქცევასა და მოქმედებებზე მანიპულირების გზით ზეგავლენას. აღნიშნული ქმედება ფარულია იმდენად, რამდენადაც ცალსახად არ შეიცავს ფიზიკურ თუ ძალადობრივ აქტებს და კონცენტრირებულია მზაკვრული გზებით საზოგადოების აზრის ფორმირებაზე.

პეკარდი საუბრობს იმაზე, თუ როგორ ხორციელდება საზოგადოებაში მათი მოთხოვნილებებისა და საჭიროებების ფორმირება (Pecard, 1960).

მეტად ყურადსაღები და საინტერესოა ძალადობის ის ფორმა, რომელიც პეკარდმა აღწერა იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება პოლიტიკურ ქმედებათა იმ კატეგორიას, რომელიც ფარულია და შესაბამისად, ყველაზე რთულად გასაკონტროლებელი და აღმოსაფხვრელი. და, თუკი აღნიშნული მზაკვრული მექანიზმების გამოყენება ისეთ პოლიტიკურ აქტს ეხება როგორიც არჩევნებია, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება ხელისუფლებისა და არჩევნების ლეგიტიმურობა. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ ამდენად ყურადსაღებია ავტორის შენიშნვა, ვფიქრობ, არ არის წარმოდგენილი მექანიზმი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი იქნება აღმოჩენილ და გაზომილ იქნას საზოგადოებაში მანიპულაციებისა და მზაკვრული ხერხებით მოწოდებული აზრები, საჭიროებები თუ მოთხოვნილებები.

აღნიშნული კვლევის ფარგლებში, ვფიქრობ, საინტერესოა ფ.ც. ბეილის ნაშრომი „სამხედრო ხრიკები და ნადავლი“, სადაც ის აყალიბებს თამაშის პოლიტიკურ თეორიას, რომლის მიხედვითაც ყოველი პოლიტიკური კულტურა აყალიბებს საკუთარ პოლიტიკური წესების ნაკრებს, ნორმატიულ და პრაგმატულ წესებს. გარდა ამისა. ამ უკანასკნელი წესების საფუძველზე არსებობს წინასწარგანზრახული მიზნები და ჯილდოები. ჩემი საკვლევი თემისათვის, აღნიშნული ნაშრომი მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც მეხმარება უფრო თვალნათლივ წარმოვაჩინო ის დარღვეული ნორმატიული თუ პრაგმატული წესები, რომლებიც ხორციელდება სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში პოლიტიკური ელიტების მხრიდან (Bale, 1969).

ფრენსის ფუკუიამას ნაშრომი „დემოკრატია და მთავრობის ხარისხი“ კიდევ ერთი ყურადსაღები ნაშრომია აღნიშნული კვლევის ფარგლებში იმდენად, რამდენადაც აღნიშნულში ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დემოკრატია თავისთავადი სიკეთეა, თუმცა დიდწილად არის დამოკიდებული მთავრობის ფუნქციურ ხარისხზე და ჯანსაღი დემოკრატიის მშენებლობის გზაზე ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მთავრობების ფუნქციონირების ხარისხია. რაშიც იგულისხმება, რომ პოლიტიკური სისტემა დაცლილი უნდა იყოს პოლიტიკური კლიენტერული კავშირებისაგან,

კორუფციისაგან. სხვა შემთხვევაში, ბუნებრივია, რომ არჩევნებისთვის დამახასიათებელი იქნება პატრონაჟის სისტემა და ამომრჩეველთა მობილიზება არაკანონიერი ხერხებით. აქვე, მნიშვნელოვანია ფრენსის ფუკუიამას მიერ მოყვანილი თეზა მარტინ შეფტერისა, რომელიც ამბობს, რომ კლიენტერული სისტემა ყალიბდება მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებში, სადაც პოლიტიკოსებსა და პოლიტიკურ ელიტას ხელთ უპყრიათ სახელმწიფოს რესურსები და წინასაარჩევნოდ მათ შეუძლიათ ელექტორატზე მოახდინონ გავლენა და მოიზიდონ ისინი არა იდეოლოგიური ან წინასაარჩევნო პროგრამების დახმარებით, არამედ რესურსების ხარჯზე გაცემული ჯილდოების სახით (Fukuyama, 2013). ჩემი საკვლევი საკითხის ფარგლებში, ვფიქრობ, მეტად გამოსადეგია აღნიშნული ნაშრომი. მასში საუბარია ელექტორატსა და მმართველ ელიტას შორის რესურსებისა და ხმების მიმოცვლაზე, რაც აგრეთვე დაკავშირებულია, დემოკრატიის ხარისხთან. მაშინ, როდესაც სახელმწიფოში არ არის დემოკრატია ბოლომდე ფესვგადგმული როგორც საზოგადოებაში, ასევე პოლიტიკურ სისტემაში, არსებობს საშიშროება იმისა, რომ მმართველი ძალები საკუთარი მიზნებისათვის არ მოერიდებიან და, მეტიც, საკუთარ თუ სახელმწიფო რესურსებს დახარჯავენ მოწყვლადი ჯგუფების ელექტორატის მოსყიდვასა თუ გარიგებაზე.

1.3 პატიმართა ხმის მიცემის უფლების ლეგიტიმურობის საკითხი

ერთ-ერთი ნაშრომი, რომელიც გამოყენებულია კვლევის პროცესში არის - „პატიმრებისათვის ხმის უფლების წართმევა: პატიმრები და საჯარო ხედვები უხილავ სასჯელთან დაკავშირებით“ (2013), რომელიც ეკუთვნის მანდიფ დამს. სურეის უნივერსიტეტის პროფესორი აღნიშნულ კვლევაში საუბრობს, როგორც ხმის მიცემის უფლების ჩამორთმევის არასამართლიანობაზე, ასევე მისი გაფართოების შემთხვევაში არსებულ საშიშროებებზე. აღნიშნულ კვლევაში განხილულია დიდი ბრიტანეთის რეალობა და აღნიშნულია, რომ პატიმრები მიდრეკილნი არიან დაუჭირონ მხარი ლეიბორისტულ პარტიას იმდენად, რამდენადაც მათი წინასაარჩევნო დაპირება ეხება სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებული მდგომარეობის ცვლილებებს. ხოლო რაც შეეხება საშიშროებებს, ერთის მხრივ, შესაძლებელია მოხდეს მმართველი ელიტების მხრიდან პატიმრებზე ზეწოლა, იმ შემთხვევაში თუკი დიდ ბრიტანეთში

შეიქმნება პრეცენდენტი და გაფართოვდება პატიმრებისათვის ხმის მიცემის უფლება, შესაძლებელია ისინი გახდნენ ზეწოლის მსხვერპლნი მმართველი პარტიის მხრიდან. გარდა ამისა, ავტორი აღნიშნავს, რომ პატიმრების მხრიდან, შესაძლებელია მოხდეს, ის, რისიც ფარიდ ზაქარიას (Zakaria,1998) ეშინოდა, და დემოკრატიული მექანიზმების დახმარებით ძალაუფლება ხელში ჩაიგდოს ავტორიტარული, ფაშისტური თუ საზოგადოებისთვის სხვა საფრთხისშემცველი ფასეულობების მქონე პარტიამ (Dumm, 2013). აღნიშნული ნაშრომი, ცალსახად, მნიშვნელოვანი და მრავლისმომცემია იმდენად, რამდენადაც მასში გააზრებულია დიქოტომია ადამიანის ფუნდამენტური უფლებების არალეგიტიმურ შეზღუდვასა და აღნიშნული უფლების ბენეფიციარის თუ ელიტის მიერ ბოროტად გამოყენებას შორის. შესაბამისად, ავტორის მიერ ჩატარებული კვლევა ახლოს არის ჩემს საკვლევ თემასთან და ნათლად გამოხატავს იმას, რომ ნამდვილად არსებობს საშიშროება, განსაკუთრებით საქართველოსნაირ ახალ-დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც გამოხატულია სუსტი ავტოკრატია, მოწყვლადი ჯგუფები გადაიქცნენ ხმების დამატებით რეზერვუარად.

თანამედროვე ეპოქაში ადამიანი, როგორც ინდივიდი ყურადღების ეპიცენტრშია მოქცეული. ადამიანთა უფლებები და თავისუფლებები არასოდეს ყოფილა ამდენად უპირატესი და მნიშვნელოვანი. და, მიუხედავად ამისა, მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ ნაწილშიც კი არის რიგი საკითხებისა, სადაც ადამიანთა უფლებების ირგვლივ ცალსახა კონსენსუსი ჯერ კიდევ არ არსებობს. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მაგალითი სწორედ პატიმრები და მათი ხმის მიცემის უფლების საკითხია და აღნიშნული სადისკუსიო თემაა იმდენად, რამდენადაც პატიმართათვის ხმის მიცემის უფლება ამ სოციალურ ჯგუფს კიდევ უფრო მოწყვლადს ხდის ხმების მობილიზების კუთხით (Dumm, 2013). კლაუდიო ლოპეზ-გუერას სამეცნიერო კვლევა სწორედ აღნიშნულ საკითხს ეხება, სადაც ავტორი ცალსახად ეწინააღმდეგება პირთათვის ხმის მიცემის უფლებით სარგებლობას საპატიმროებში ყოფნის პერიოდში. აღნიშნულ მოსაზრებს ლოპეზ-გუერა (2014) ასაბუთებს იმ საშიშროებებით, რაც პატიმართა ხმის უფლებით სარგებლობას პოტენციურად თან სდევს ანუ მმართველ ელიტებსა და პატიმრებს შორის პატრიმონიალური ურთიერთობების ფონზე, ხმებისა და რესურსების, პრივილეგიების მიმოცვლა. გარდა ამისა, ავტორი ასევე საუბრობს იმაზეც,

რომ პატიმრები წარმოადგენენ იმ სოციალურ ჯგუფს, რომელიც გარკვეული დანაშაულის გამო იხდიან სასჯელს და მისთვის აღნიშნული ფუნდამენტური უფლების შეზღუდვა გამართლებულია იმდენად, რამდენადაც სწორედ აღნიშნული აქტითაა შესაძლებელი დემოკრატიული, ლეგიტიმური არჩევნებისა და საზოგადოების საერთო ნების გამოხატვის შენარჩუნება (Lopez-Guerra 2014). მსგავს მოსაზრებას გვთავაზობს პეტერ რამსიც (Ramsey, 2013), კუთვნილ ნაშრომში ავტორი აღნიშნავს თუ რამდენად იკარგება დემოკრატიული მახასიათებლები და ყალბდება ის პოლიტიკური გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. სწორედ ასეთი საკითხია ავტორისთვის მსჯავრდებულთათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების რეალიზების შესაძლებლობა. გარდა ლოპეზ-გუერას მსგავსი არგუმენტებისა, რამსი საუბრობს პატიმართა ხმის მიცემის უფლების საჭიროების არქონაზე იმდენად, რამდენადაც აღნიშნულ სოციალურ ჯგუფს არ გააჩნია კანონიერი უფლება ისარგებლოს თავისუფლების გარკვეული წილით. შესაბამისად, ავტორი ვერ ხედავს ლოგიკურ თუ იურიდიულ საფუძველს საპატიმროებში არჩევნების ჩატარების საჭიროებისთვის. გარდა აღნიშნულისა, ავტორი შენიშნავს იმასაც, რომ პატიმრები ჩამორთმეული თავისუფლების ხარჯზე სრულად იმართებიან მმართველი ძალების მიერ და არჩევნებიც რასაკვირველია არ წარმოადგენს გამონაკლისს. შესაბამისად, პოტენციური მანიპულაციები ელიტების მხრიდან და ხმების სანაცვლოდ მიღებული "დოვლათი" პატიმრებისათვის შებღალავს და საბოლოოდ ჩამოშლის დემოკრატიას (Ramsey, 2013).

საჯარო პოლიტიკის წარმოებისა და განხორციელების პროცესში უფლებათა დაპირისპირება არახალი და მეტიც, კარგად ნაცნობი საკითხია, რომლის გადაჭრაც საკმაოდ რთული და კომპლექსურია. სწორედ ასეთია საპატიმროებში არჩევნების ჩატარების საკითხიც იმდენად, რამდენადაც ცხადია რომ არსებობს დემოკრატიის გაუფასურების, ელიტიზმის, მოწყვლად ჯგუფებზე ძალაუფლების დამყარების და საბოლოო ჯამში კი სრულიად საზოგადოების საერთო ნების განუხორციელებლობის საშიშროება (Zakaria, 1998). მაგრამ, თუკი შევხედავთ აღნიშნულს დემოკრატიული ღირებულბების პერსპექტივიდან პატიმართა ხმის მიცემის უფლების შეზღუდვა რამდენად იქნება სამართლიანი მაშინ, როდესაც დემოკრატიის ქვაკუთხედის ერთ-ერთი მთავარი წახნაგი თანასწორობაა. გარდა ამისა, ვფიქრობ, უმრავლესობის

უპირატესობის გათვალისწინებით მეტად მნიშვნელოვანია როგორ აისახება მსჯავრდებულებზე აღნიშნული ფუნდამენტური უფლებების შეზღუდვა. თუკი გავითვალისწინებთ იმას რომ ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რის გამოც პატიმრები გარიყულნი იქნებიან საზოგადოებისაგან მაშინ, როდესაც დასავლურ დემოკრატიულ სახელმწიფოებში რესოციალიზაცია ითვლება საუკეთესო გზად იმისათვის, რომ არ მივიღოთ მუდმივი ჯგუფი დამნაშავეებისა (Sutherland, 1937).

კეტრინ ირენ პეტუსი (2013) განიხილავს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ უსამართლობას, პატიმართა ხმის უფლებების ჩამორთმევის კონტექსტში და უპირისპირდება მოსაზრებას, რომ პატიმართა თავისუფლების შენარჩუნებისა და მმართველი ელიტის ზეწოლისაგან დასაცავადაა აღნიშნულ სახელმწიფოში საარჩევნო კოდექსი ამდენად მკაცრი. ავტორი კუთვნილ მოსაზრებას იმით ამყარებს, რომ აშშ-ში პატიმართათვის ხმების ჩამორთმევა მათი სასჯელის მოხდის შემდგომაც არ არის ხშირად აღდგენილი, შესაბამისად, საქმე ისაა რომ კონსერვატორები, რომლებიც მეტად არიან დაინტერესებულნი პატიმართა თუ ყოფილ პატიმართა უფლებებისა და პრობლემური საკითხების მოგვარებით, რასაკვირველია მეტად პოპულარულნი არიან და ავტორი სწორედ აღნიშნულს ასახელებს არსებული საარჩევნო კოდექსის სიხისტის მიზეზად (Petus, 2013).

რობერტ ნოზიკიც ერთ-ერთი იმ მოაზროვნეთაგანია, ვინც საჭიროდ მიიჩნევს პატიმართა ხმის მიცემის უფლების შეზღუდვას იმდენად, რამდენადაც მსჯავრდებულთა მოწყვლადი ჯგუფი არ უნდა გახდეს ხელისუფლების ზეწოლის ობიექტი (1974). გარდა ამისა, ნოზიკი მიიჩნევს, რომ ადამიანებმა, რომლებმაც იძალადეს სოციალურ კონტრაქტზე და კანონსაწინააღმდეგოდ იმოქმედეს, არ გააჩნიათ ლეგიტიმური უფლება ჩაერთონ პოლიტიკურ აქტივობაში და ზემოქმედება მოახდინონ საზოგადოების ცხოვრებაზე (Nozick, 1974).

რობერტ ნოზიკის მოსაზრებებს თანამედროვე პოლიტიკური ფილოსოფიისა თუ კრიმინოლოგთა მრავალი წარმომადგენელი იზიარებს. მიუხედავად იმისა, რომ ავტორი ნაკლებად საუბრობს იმ შესაძლო საშიშროებაზე, რაც სოციუმიდან გარიყვას სდევს თან. ამ უკანასკნელზე ყურადღებას ამახვილებს სოციალური ფსიქოლოგი ფილიპ ზიმბარდო (1971). ავტორი კვლევის საფუძველზე საუბრობს ხმის მიცემის

უფლების დადებით ასპექტებზე და მის როლზე რესოციალიზაციის პროცესში (Zimbardo, 1971) .

რასაკვირველია, პატიმართა ხმის მიცემის უფლება მეტად ინტერდისციპლინური საკითხია და კომპლექსურ პრობლემას წარმოადგენს იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება ადამიანთა თავისუფლებებისა და უფლებების ურთიერთგადაფარვას. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია პოლიტიკური სისტემის ხასიათი. კერძოდ ჰიბრიდული რეჟიმი, რომელიც საქართველოს შემთხვევაში, დემოკრატიული და ავტორიტარული მახასიათებლების ნაზავია, პოლიტიკურ ელიტებს უტოვებს შესაძლებლობას ისარგებლონ ავტორიტარული მექანიზმებით. ჰიბრიდულ რეჟიმში გავლენიანი პოლიტიკური სუბიექტების გავლენებზე საუბრობენ სტივენ ლევიტსკი და ლუკან ვეი (2002). კერძოდ, ავტორები განიხილავენ საარჩევნო პროცესებს გარდამავალ რეჟიმებში, სადაც სახეზეა პატიმართა ელექტორალურ იარაღად გამოყენება. ამ უკანასკნელს კი წინ უძღვის საარჩევნო კოდექსით გათვალისწინებული ფართო ელექტორალური უფლებები მეტი პატიმრისთვის. აღნიშნული პრაქტიკის ქვეყნებად დასახელებულია რუსეთი, ვენესუელა და ჩინეთი, სახელმწიფოები, სადაც დემოკრატია მხოლოდ ფასადურია (Levitsky, Way, 2002).

ლევიტსკისა და ვეის მიერ დასახელებული კომუნისტური ჩინეთის საარჩევნო პროცესები და პოლიტიკური ძალაუფლების გამყარების სხვა მექანიზმები განხილულია სიუზან შირქის (2005) მიერ. შირქი საუბრობს ჩინეთში არსებულ პროპაგანდისტულ მექანიზმებზე, სადაც პოლიტიკური ელიტების გავლენებს ექვემდებარება მედია და პატიმრები. მმართველი პარტიის ზეგავლენა განსაკუთრებით ინტენსიური და მიზანმიმართული ხდება წინასაარჩევნოდ. აღნიშნულ ნაშრომში აღწერილია ჩინეთის მმართველი კომუნისტური პარტიის ძალაუფლება და მისი განხორციელების გზები, რის საფუძველზეც პოლიტიკურ ელიტას დამორჩილებული ჰყავს როგორც ცალკეული ადამიანები, ასევე სოციალური ფენები და მისი კონტროლის ქვეშაა ყველა სფერო, მათ შორის მხატვრული თუ აკადემიურ ლიტერატურაც კი (Shirk, 2005).

აღმოსავლეთის მსგავსი პრაქტიკული გამოცდილება არსებობს აფრიკის კონტინენტზეც. აფრიკის სახელმწიფოებში არსებული გარდამავალი რეჟიმების

პოლიტიკური ზეგავლენები თომას ქალაგისა და რონალდ კაზიმირის (2006) მიერ იქნა შესწავლილი. აღნიშნული ავტორები განიხილავენ სუბ-საჰარულ აფრიკაში არსებულ პოლიტიკურ მდგომარეობას, სადაც პოლიტიკური ელიტების გავლენების ქვეშაა მოქცეული მოსახლეობა და მათ შორის პატიმრები. წინასაარჩევნოდ ხშირია როგორც ფარული, ისე აშკარა ძალადობრივი ქმედებები. ავტორებმა არამხოლოდ იკვლიეს არსებული მდგომარეობა, არამედ არასამთავრობო და სამთავრობოთაშორის ორგანიზაციებს მიმართეს ადამიანთა უფლებების უხეში დარღვევების აღმოფხვრის მიზნით. აღნიშნულ ნაშრომში საუბარია დემოკრატიის კონსოლიდაციის წინააღმდეგ მიმართულ სხვა ქმედებებზეც, როგორიცაა - მედია საშუალებების, აკადემიური სფეროს გაკონტროლება და სხვა (Callaghy, Kassimir, 2006).

მასებსა და პოლიტიკურ ელიტებს შორის ურთიერთობის ხასიათი დიდწილადაა დამოკიდებული პოლიტიკურ რეჟიმზე. გარდამავალ პოლიტიკურ სისტემებში სახეზეა დემოკრატიაში მოღვაწე პოლიტიკური ელიტები, რომლებიც არ ერიდებიან მიმართონ ავტორიტარული რეჟიმისთვის დამახასიათებელ მექანიზმებს და მოახდინონ ზეგავლენა მასებზე, განსაკუთრებით კი მოწყვლად ჯგუფებზე. ზემოთხსენებულ ნაშრომებში ნაკლებადაა საუბარი პატიმრების ინფორმირებულობის სიმცირეზე, კერძოდ, თავისუფალ მოქალაქეებს აქვთ უწყვეტი წვდომა საინფორმაციო საშუალებებზე, ფლობენ შესაძლებლობას გადაამოწმონ ესა თუ ის ინფორმაცია, პირადად შეხვდნენ წინასაარჩევნოდ კანდიდატებს და გაეცნონ მათ პოლიტიკურ გეგმას. შესაბამისად, გარდა იმისა, რომ პატიმრებისათვის გაფართოებული ხმის მიცემის უფლება მათ პოლიტიკური ელიტების ზეგავლენის მსხვერპლად აქცევს და ამით იცვლება არჩევნების შედეგები, ისინი ინფორმაციის ნაკლებობიდან გამომდინარე რაციონალურ არჩევანს ვერ დააფიქსირებენ.

თავი II. საქართველოს საარჩევნო კოდექსის და არჩევნების შედეგების ანალიზი: ფოკუსი პატიმრებზე

აღნიშნულ თავში განხილულია პენიტენციურ დაწესებულებებში რეგისტრირებული საარჩევნო უბნის სახით ჩატარებული არჩევნების შედეგები, რომელშიც ასახულია როგორც იმ პატიმართა რაოდენობა, რომლებსაც ხმის მიცემის უფლება ჰქონდათ, ასევე არჩევნებში მონაწილეთა რაოდენობა. ზემოთხსენებული ილუსტრირებულია გრაფებსა და დიაგრამებზე. გარდა ამისა, აღნიშნულ თავში განხილულია სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშები, სადაც ასახულია პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული მდგომარეობა, როგორც ზოგადად, ასევე წინასაარჩევნოდ.

2.1 პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული არჩევნების შედეგების ანალიზი

საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებებში არჩევნები ორგვარად ტარდება რეგისტრირებული საარჩევნო უბნისა და გადასატანი საარჩევნო ყუთის საშუალებით. გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენება შეუძლებელს ხდის მონაცემთა დამუშავებას იმდენად, რამდენადაც მიღებული შედეგების დათვლა ხდება სხვა, რეგისტრირებულ საარჩევნო უბანზე. შესაბამისად, ცალკეული მონაცემები პენიტენციურ დაწესებულებაში ხმათა გადანაწილების შესახებ არ არსებობს. აქედან გამომდინარე, არჩევნების მხოლოდ იმ შედეგების გაანალიზებაა შესაძლებელი, რომელიც რეგისტრირებულ საარჩევნოო უბნებზე იქნა ჩატარებული. აღნიშნულის შესახებ მონაცემები მოწოდებულ იქნა საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ. ინფორმაცია იმ პენიტენციურ დაწესებულებათა შედეგებზე, სადაც რეგისტრირებული საარჩევნო უბნების სახით იქნა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არჩევნები ჩატარებული ასახულია სტატისტიკურ ილუსტრაციაზე (დიაგრამა 1 და 2). ეს უკანასკნელი მეტად თვალსაჩინოს ხდის ხმათა გადანაწილების თანაფარდობას. კერძოდ, ილუსტრაციაზე წარმოდგენილია როგორც არჩევნებში მონაწილე პატიმართა რაოდენობა, ასევე არჩევნებში მონაწილეთა და მმართველი პარტიის მხარდამჭერი ტუსაღების რაოდენობა.

რეგისტრირებული საარჩევნო უბნების გზით საქართველოში სულ 4 არჩევნები ჩატარდა, მათგან პირველად 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები იქნა ჩატარებული, სადაც ექვსი რეგისტრირებული საარჩევნო უბანი ფუნქციონირებდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებიც, 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად ჩატარებულ იქნა გამონაკლისი შემთხვევით შექმნილი რეგისტრირებული საარჩევნო უბნების საშუალებით. სულ 9 საარჩევნო უბანი იქნა გახსნილი აღნიშნული არჩევნებისათვის. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებისათვის პენიტენციურ დაწესებულებებში გახსნილ იქნა 9 საარჩევნო უბანი. პენიტენციურ დაწესებულებაში ბოლოს ჩატარებულ იქნა 2022 წლის პარლამენტის შუალედური არჩევნები. სულ ფუნქციონირებდა 9 საარჩევნო უბანი.

დიაგრამა 1

ასახულია პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებულ არჩევნებში მონაწილე პატიმართა პროცენტული მაჩვენებელი.



წყარო: ცესკო

ავტორი: სალომე არაბული

დიაგრამა 2

ასახულია პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებულ არჩევნებში პატიმართა პოლიტიკური არჩევანი.



წყარო: ცესკო

ავტორი: სალომე არაბული

როგორც უკვე აღვნიშნე, პენიტენციურ დაწესებულებებში გამონაკლისი შემთხვევების სახით ხდება რეგისტრირებული საარჩევნო უბნების გახსნა, რა დროსაც მიღებული შედეგების დათვლა ადგილზე ხდება, რაც საშუალებას იძლევა გაანალიზებულ იქნას მონაცემები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კვლევის პროცესში წარმოიშვა გარკვეული დაბრკოლება, რომელიც დაკავშირებულია პენიტენციურ დაწესებულებაში არჩევნების გადასატანი ყუთის მეშვეობით ჩატარებასთან, შესაბამისად, აღნიშნული შეუძლებელს ხდის გაანალიზებულ იქნას კონკრეტული არჩევნების შედეგები. იმ შემთხვევაში, როდესაც არჩევნები რეგისტრირებული საარჩევნო ოლქის მეშვეობით ტარდება, მოცემული მონაცემების ანალიზის

საფუძველზე ნათლად ჩნდება ტენდენცია იმისა, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში გამოკვეთილია მმართველი პარტიისა და მისი კანდიდატის მხარდაჭერის ტენდენცია. მიღებულ ხმათა უდიდეს ნაწილს მმართველი ძალები იღებენ, რაც აჩენს ეჭვს, რომ პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებული არჩევნები ვერ აკმაყოფილებს ვენეციის ადამიანთა უფლებების გათვალისწინებულ ნორმებს და აღნიშნულ გარემოში არჩევნები არ არის კონკურენტული და თავისუფალი.

პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებული არჩევნების ხასიათისა და ტენდენციების შესახებ ზემოთხსენებული მონაცემების გარდა, მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის ანგარიშები. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშებში აღწერილია ზოგადი მდგომარეობა, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არსებულ ურთიერთობათა იერარქიზე და სხვა, რაც მნიშვნელოვნად გვეხმარება გავაანალიზოთ პატიმართა ტენდენციურობის მიზეზები, გავაანალიზოთ არჩევნების ის პროცესებიც კი, რომლებიც გადასატანი საარჩევნო ყუთების მეშვეობით იქნა ჩატარებული.

2.2 სახალხო დამცველის ყოველწლიური ანგარიშების ანალიზი

საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტი წარმოადგენს დამოუკიდებელ, კონსტიტუციურ უწყებას, რომელიც უფლებამოსილია ზედამხედველობა გაუწიოს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას. სახალხო დამცველი ვალდებულია აღნიშნულის ხელყოფის ფაქტები გამოავლინოს და მის აღმოსაფხვრელად გასცეს რეკომენდაციები. ომბუდსმენის ყოველწლიური ანგარიში ასახავს ქვეყანაში არსებულ პრობლემებს ადამიანთა უფლებებსა და თავისუფლებებთან დაკავშირებით, შესაბამისი უწყებებისათვის კი გასცემს წინადადებებსა და რჩევებს. პენიტენციური სისტემა და თავისუფლება შეზღუდული ადამიანების უფლებების დაცვა სახალხო დამცველის ერთ-ერთი პრეროგატივაა. შესაბამისად, ანგარიშში მოცემული ინფორმაცია მეტად მნიშვნელოვანია არჩევნებში პატიმართა როლის შესწავლის პროცესში.

წელს საქართველოს პენიტენციურ დაწესებულებაში, რეგისტრირებული საარჩევნო უბნის გახსნის გზით, არჩევნები პირველად ჩატარდა. შესაბამისად, მეტად

მნიშვნელოვანია სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი 2008 წლის ანგარიში, სადაც აღწერილია იმდროინდელი მდგომარეობა სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში. სახალხო დამცველის პოსტი 2004-2009 წლებში სოზარ სუბარს ეკავა და სწორედ მას ეკუთვნის 2008 წლის ორნაწილიანი ანგარიში. ომბუდსმენის მოხსენებაში საუბარია სასჯელაღსრულების სისტემაში როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ცვლილებებზე. კერძოდ, აღნიშნულია რომ წინა წლის რეკომენდაციების ნაწილი გათვალისწინებულია, თუმცა პატიმართა ცემა-წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტები მრავლადაა. ამ უკანასკნელის უმეტესობა კი გამოუძიებელია. ანგარიშში ასევე საუბარია დაწესებულებაში არსებულ გაუსაძლის მდგომარეობაზე, რომელიც გამოწვეულია პატიმართა ლიმიტირებულზე მეტი რიცხოვნებით, დაუსჯელობის პრეცენდენტებით, პატიმართა და ავდოკატთა შეხვედრების მონიტორინგით. ამავე წლის მოხსენების მეორე ნაწილში სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არსებული გაუსაძლისი პირობების გამო, რომელიც ნახსენებია პირველ ნაწილშიც, შეფასებულია როგორც არადაამიანური მოპყრობა. ყურადსაღებია სახალხო დამცველის ინსტიტუტის წარმომადგენელთა ვიზიტები სასჯელაღსრულებით დაწესებულებებსა და წინასწარი მოთავსების იზოლატორებში, რის საფუძველზეც გამოვლენილია მრავლობითი ცემა-წამების ფაქტები, ციხის ადმინისტრაციისა და პოლიციელების მხრიდან, რასაც საპატიმროებში პატიმართა შორის დაპირსიპირებებიც ემატება, რომლის აღკვეთაზეც არ ზრუნავს ადმინისტრაცია.

წლის საპარლამენტო არჩევნები მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო ქართულ პოლიტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში იმ დროისათვის გამოყენებულ იქნა გადასატანი საარჩევნო ყუთები, რაც შეუძლებელს ხდის გაანალიზდეს არჩევნების შედეგები, მეტად მნიშვნელოვანია აღნიშნული წლის სახალხო დამცველის მიერ წარმოდგენილი ანგარიში. აღნიშნულ ანგარიშში საუბარია სახალხო დამცველსა და პატიმრებს შორის შეხვედრების კონფიდენციალურობის დარღვევის ფაქტების შესახებ, რომელიც საქართველოს ორგანული კანონის მეცხრამეტე მუხლის მესამე ნაწილითაა გათვალისწინებული (საქართველოს ორგანული კანონი, 2009). გარდა აღნიშნულისა, ასევე წარმოდგენილია

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმართა ცემის, წამების, არასათანადო მოპყრობის პერმანენტულობაზეც. სახალხო დამცველის, გიორგი ტუღუშის მიერ საპარლამენტო სპეციალურ ანგარიშში აღწერილია 2012 წლის არჩევნების დროს გამოვლენილი დანაშაულები. კერძოდ, პენიტენციურ დაწესებულებებში სადაც გამოყენებულ იქნა გადასატანი საარჩევნო ყუთები, 2121 პატიმარს ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის უფლება. მათგან მხოლოდ 552-მა პატიმარმა შეძლო არჩევნებში მონაწილეობა, გამომდინარე იქიდან, რომ ადმინისტრაციამ არ იზრუნა პირადობის დამადასტურებელი მოწმობების დამზადებაზე, რაც სახალხო დამცველის მიერ აღქმულია, როგორც თავისუფლებააღკვეთილ ადამიანთა თავისუფლბებისა და უფლებების ხელყოფა.

წელს სახალხო დამცველის პოზიციას იკავებდა ნინო ლომჯარია, მის საპარლამენტო მოხსენებაში აღწერილია წინა წლებში გაცემული რეკომენდაციათა მცირედის გათვალისწინების ფაქტები. მიუხედავად არსებული დადებითი ნაბიჯებისა, მოხსენებაში აღწერილია არასათანადო მოპყრობის, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში წესრიგისა და პატიმართა უსაფრთხოების დაცვის კუთხით არსებული პრობლემები. ამ უკანასკნელში იგულისხმება პენიტენციურ დაწესებულებებში არაფორმალური მმართველობითი, ე.წ. ქურდული იერარქიის არსებობა და მეტიც, ხსენებულ ურთიერთობათა სისტემას ხელს უწყობს ციხის ადმინისტრაციაც. ციხეებში არსებული კრიმინალური ურთიერთობათა სისტემა თანამშრომელთა მხრიდან გამოყენებულია, როგორც წესრიგის დამყარების მექანიზმი. წლის მსგავსად, 2020 წლის სახალხო დამცველის ანგარიშში აღწერილია პენიტენციურ სისტემაში არსებული კრიმინალური სუბკულტურის ხელშეწყობა ადმინისტრაციის მხრიდან. აღნიშნული არაფორმალური ურთიერთობათა სისტემა ხშირ შემთხვევაში პატიმრებს ართმევს უფლებას გაასაჩივრონ მათ მიმართ განხორციელებული არასათანადო მოპყრობა, მიმართონ სახალხო დამცველს. ყოველივე კი ხელს უშლის პატიმართა რეაბილიტაციისა და რესოციალიზაციის პროცესს. გარდა ამისა, საპარლამენტო მოხსენებაში ნათქვამია ადმინისტრაციის მხრიდან განხორციელებულ ზეწოლასა და ძალადობის ფაქტზე ის პოზიტიური მოვლენა, რომ საქმე აღიძრა, თუმცა, პასუხისგებაში არ იქნა მიცემული არც ერთი დამნაშავე. ნინო ლომჯარიას 2021 წლის

მოხსენებაშიც არის საუბარი პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული იერარქიული, კლანური ურთიერთობების შესახებ, მიუხედავად მრავალჯერადად გაცემული რეკომენდაციებისა, რომ გაზრდილიყო ადმინისტრაციაში მომუშავეთა რიცხვი, დიდი პენიტენციური დაწესებულებები ჩანაცვლებულიყო შედარებით მცირე საპატიმროებით, არ შესრულებულა და მეტიც, როგორც ომბუდსმენი აღნიშნავს, კრიმინალური ავტორიტეტებით მართულ სისტემას ადმინისტრაცია ასაზრდოებს.

წლის სახალხო დამცველის მიერ წაროდგენილ ანგარიშში ასახულია რიგი პრობლემებისა პენტიენციურ დაწესებულებაში. გარდა იმისა, რომ წინა წლების მსგავსად, არაფორმალური კრიმინალური ურთიერთობების ფონზე მწვავედ დგას პატიმართა უსაფრთხოებისა და წესრიგის კუთხით, იკვეთება შემთხვევები სადაც, ადმინისტრაცია არ ითვალისწინებს არათუ ომბუდსმენის, არამედ ევროკომისიის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს სამარტოო საკნების გამოყენების შემთხვევებში. ასევე, არ იქნა გათვალისწინებული რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ სახალხო დამცველს მიეცეს უფლება გაეცნოს საპატიმროებში პატიმრებზე განხორციელებულ ძალადობის, სიცოცხლის ხელყოფის და არასათანადო მოპყრობის ამსახველ მასალებს. ყურადსაღებია ასევე ისიც, რომ ციხის ადმინისტრაცია დამატებითი სასჯელის სახით პატიმართა ერთი ციხიდან მეორეში გადაყვანას მიმართავს, რა დროსაც არ ხდება პატიმრის ახლობლების საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინება. ყოველივე ზემოთხსენებული შეფასებულ იქნა, როგორც არაფორმალური მეთოდებით მმართველობა, რომელიც პატიმართა გაჩუმებასა და არსებულ პრობლემებზე საუბრის აკრძალვას ემსახურება. ზემოთხსენებული ანგარიშებიდან ნათლად ჩანს ტენდენცია იმისა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში ადმინისტრაციის მხრიდან ძალადობის შემთხვევები შემცირებულია, არაფორმალური მმართველობითი სისტემის ხელშეწყობის ხარჯზე. მიუხედავად იმისა, რომ 2008 წლის ანგარიშში დაფიქსირებულია პატიმრებზე ცემა-წამებისა და არასათანადო მოპყრობის ასობით ფაქტები, რაც შემდგომი წლების მოხსენებებში საგრძნობლად შემცირებულია, დღეს სახეზეა შიდა იერარქიული ავტორიტეტებზე დაფუძნებული სისტემა, რომელიც ართულებს პატიმრებისთვის ჩაგვრისა და არასათანადო მოპყრობის ფაქტების დეკლარირებას. ხსენებული

არაფორმალური სისტემა კიდევ უფრო მარტივს ხდის, ადმინისტრაციისა თუ მმართველი პარტიის ინტერესების გატარებას პენიტენციურ დაწესებულებაში. ე.წ. ავტორიტეტებსა და ადმინისტრაციას შორის ორმხრივად მომგებიანი თანამშრომლობის არსებობას სახალხო დამცველთა მიერ დეკლარირებული ფაქტებიც ადასტურებს.

თავი III: პატიმრების როლი საარჩევნო პროცესში: აქტორების პოზიციები

მოცემულ თავში საუბარია კვლევის ფარგლებში ჩატარებულ ინტერვიუებზე, როგორც ყოფილ პატიმრებთან, ასევე პატიმრის ოჯახის წევრებთან, სადაც რესპონდენტები აღწერენ პირად გამოცდილებას, რომელიც დაკავშირებულია პენიტენციურ დაწესებულებაში ჩატარებულ არჩევნებთან. აღნიშნულ თავში, აგრეთვე, წარმოდგენილია სახალხო დამცველებსა და ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუები და მათი ანალიზი, რომელიც, ასევე, ფოკუსირებულია პენიტენციურ დაწესებულებებში ჩატარებულ არჩევნების საკითხზე.

3.1. სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი

ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუს რესპონდენტი წარმოადგენს არასამთავრობო ორგანიზაციის მფლობელს, რომელიც აქტიურად არის ჩართული პატიმართა უფლებების რეალიზაციისა და დაცვის საქმიანობაში, ხოლო მანამდე კი იკავებდა ერთ-ერთი სასჯელაღსრულებითი დაწესებულების დირექტორის თანამდებობას. შესაბამისად, აღნიშნულ პიროვნებას პირადად ჰქონდა შეხება პატიმრებთან, პირადად წარმოადგენდა ადმინისტრაციას და მისი დღევანდელი საქმიანობიდან გამომდინარე, გათვითცნობიერებულია და სიღრმისეულად იცნობს საკვლევ საკითხს. მეორე რესპონდენტს წარმოადგენს ერთ-ერთი ადმინისტრაციის რიგითი თანამშრომელი, რომელიც წლების განმავლობაში მუშაობდა პენიტენციურ დაწესებულებაში როგორც ენმ-ს პერიოდში, ასევე ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში.

პირველი რესპონდენტი ინტერვიუში აღნიშნავს, რომ პენიტენციური დაწესებულების ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა, რომელიც დროთა განმავლობაში ჯაჭვურ რეაქციას იწვევს სისტემაში, არის კრიმინალური სუბკულტურის მოძლიერება უკანასკნელ პერიოდში, რაც რესპონდნეტის აზრით გამოწვეულია დიდი დახურული დაწესებულებების არსებობით. რესპონდენტი

აღნიშნავს, რომ პირადად შესწრებია ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტების ძალისხმევით ხმების მობილიზების ფაქტებს და იხსენებს 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებს, როდესაც ადგილი ჰქონდა დამკვირვებლებზე ზემოთხსენებული ავტორიტეტების მხრიდან ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს. რაც შეეხება პატიმრების არჩევნებში მონაწილეობის უფლებას, რესპონდენტი მიიჩნევს, რომ რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის მხრივ, აღნიშნული მეტად მნიშვნელოვანია და ამ მხრივ ჩვენი საარჩევნო კოდექსი ჰარმონიაშია ადამიანის უფლებების საერთაშორისო სავალდებულო კონვენციებთან, თუმცა, იმისათვის, რომ მოხდეს აღნიშნული ნორმების პრაქტიკაში რეალიზაცია, საჭიროა გაუქმდეს დიდი და დახურული პენიტენციური დაწესებულებები, რაც, თავისთავად, გამოიწვევს კრიმინალური ინსტიტუტის ჩამოშლას (სატელეფონო ინტერვიუ, 28.04.2023).

ადმინისტრაციის ყოფილი თანამშრომელი ინტერვიუში საუბრობს, პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ პრაქტიკულ პრობლემებზე, კერძოდ, აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლების სიმცირე ხელს უწყობს კრიმინალური იერარქიული ურთიერთობების გამყარებას. მოპასუხე იხსენებს, რომ წინამორბედი ხელისუფლების მმართველობის ბოლო წლებში, განსაკუთრებით 2012 წელს გახმაურებული ვიდეოკადრების გავრცელების შემდეგ, ადმინისტრაციის მრავალმა თანამშრომელმა დატოვა სამსახური, რისი ტენდენციაც მომდევნო წლებში არ შეცვლილა. რესპონდნენტი აღნიშნავს, რომ სწორედ ზემოთხსენებული კრიზისი პენიტენციური დაწესებულებისა გახდა მიზეზი მისი სამსახურიდან წამოსვლის. მუშაობის პერიოდში მომხდარი ფაქტებიდან იხსენებს არჩევნების პროცესში მომხდარ მოვლენებს, კერძოდ, ინტერვიუში ის ყვება თუ როგორ იღებდნენ ავტორიტეტები ადმინისტრაციის მხრიდან დავალებას მოეხდინათ ხმების მობელიზება მმართველი პარტიის სასარგებლოდ, რის სანაცვლოდაც ისინი მიიღებდნენ გარკვეულ ბენეფიტებს (სატელეფონო ინტერვიუ, 01.06.2023).

მეტად საინტერესოა ადმინისტრაციის თანამშრომლებთან ინტერვიუს პროცესში გამოკვეთილი მოსაზრებები და ფაქტები, რომლებიც კიდევ უფრო ამყარებენ არსებულ ეჭვებს იმასთან დაკავშირებით, რომ მმართველი პოლიტიკური ძალები მიდრეკილნი არიან გასცენ ბენეფიციები თავიანთი ძალაუფლების გასამყარებლად.

3.2. ყოფილ პატიმრებთან ინტერვიუების ანალიზი

საკვლევი თემის ფარგლებში რესპონდენტებს წარმოადგენენ ყოფილი პატიმრები, რომელთაგან ორი პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის სტატუსით იმყოფებოდა ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში. მათგან ერთმა 2022 წელს დატოვა საპატიმრო, ხოლო მეორე კი გათავისუფლდა რამდენიმე თვის წინ. რაც შეეხება მესამე რესპონდენტს, იგი საპატიმროში იმყოფებოდა 2003 წლიდან 2022 წლამდე და წარმოადგენს ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტს.

ერთ-ერთი ყოფილი პატიმარი, რომელიც კვლევის ფარგლებში იქნა გამოკითხული, აღნიშნავს, რომ მას ჰქონდა არჩევნებში მონაწილეობის ლეგიტიმური უფლება, თუმცა არ ჰქონდა ამის შესახებ ინფორმაცია და - მეტიც, მას ადმინისტრაციამ არ დაუმზადა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა. ამ უკანასკნელის მიზეზად რესპონდენტი თავის პოლიტიკურ ორიენტაციას მიიჩნევს იმდენად, რამდენადაც ის თავად შეესწრო ფაქტებს, როდესაც კრიმინალური ავტორიტეტები ხმების მობილიზების მიზნით პატიმრებს მოუწოდებნენ კონკრეტული არჩევანის გაკეთებისაკენ. ხოლო მათ, ვინც ოპოზიციისადმი მხარდაჭერით გამოირჩეოდნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არდამზადებით საარჩევნო პროცესს აშორებდნენ (პირისპირი ინტერვიუ, 26.04.2023).

პატიმარი, რომელმაც 2022 წელს დატოვა სასჯელაღსრულებითი დაწესებულება ინტერვიუში ყვება თუ როგორ ავიწროვებდნენ კრიმინალური ავტორიტეტები წინასაარჩევნო პერიოდში. ის ასევე აღნიშნავს, რომ არჩევნების მიღმაც ჰქონდა ფიზიკურ თუ სიტყვიერ შევიწროვებას ადგილი ე.წ. ავტორიტეტი პატიმრების მხრიდან ადმინისტრაციის ინტერესების გათვალისწინებით. პატიმარი იხსენებს აგრეთვე ე.წ ობშიაკის არსებობას, რითიც ავტორიტეტები და ადმინისტრაცია თანაბრად სარგებლობდნენ. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტის ცნობით არც ერთ პატიმარს არ ჰქონდა უფლება სახალხო დამცველის სახელზე ოფიციალური წერილის თუ საჩივრის დაწერის, წინააღმდეგ შემთხვევაში, კრიმინალური სუბიექტები ფიზიკურად უსწორდებოდნენ „ურჩ“ პატიმრებს (პირისპირი ინტერვიუ, 03.06. 2023).

რესპონდენტი, რომელიც ხანგრძლივი ვადითა და მძიმე სისხლის სამართლის მუხლით იყო გასამართლებული, ინტერვიუში აცხადებს, რომ ის თავად წარმოადგენდა ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტს იმდენად, რამდენადაც ის თავად იღებდა მონაწილეობას ხმების მობილიზების პროცესში და არამარტო. ჩემი რესპონდენტი იყო შუამავალი რგოლი პატიმრებსა და ადმინისტრაციას შორის, რომლის როლიც განსაკუთრებით აქტიურდებოდა წინასაარჩევნო პერიოდში. კითხვაზე- როგორ ახდენდა ხმების მობილიზებას, მისი პასუხი იყო, რომ პატიმრებს, რომლებიც მოკლე ვადით ისხდნენ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში არ ჰქონდათ კითხვის დასმის უფლება, შესაბამისად, ის დიქტატით მოუწოდებდა კონკრეტული არჩევანისაკენ. ყოველივე ზემოაღნიშნულის სანაცვლოდ, ადმინისტრაციის მხრიდან იღებდა არაერთ პრივილეგიას, როგორიც შეიძლება იყოს აკრძალული საკვებსა თუ სასმელზე ხელმისაწვდომობა, განუსაზღვრელი ვადით თავისუფლად გადაადგილება პენიტენციურ დაწესებულებაში, კანონით დაუშვებელ ვიზიტორებთან შეხვედრის უფლება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ რესპონდენტი ვადაზე ადრე გათავისუფლდა სასჯელაღსრულებითი დაწესებულებიდან, რაც განპირობებული იყო მისი, აგრეთვე, მეგობარი კრიმინალური სუბიექტებისაგან, რომლებიც, დროის ამ მონაკვეთში გათავისუფლებულნი იყვნენ ყოველგვარი მსჯავრისაგან და რომლებმაც ადგილობრივ გამგეობასთან მოლაპარაკების საფუძველზე მოახდინეს ხმების მობილიზება ზემოთხსენებული პატიმრის თავისუფლების სანაცვლოდ (სატელეფონო ინტერვიუ, 16.05.2023)

ზემოაღნიშნულის ფონზე ცალსახად იკვეთება უკანონობა და პატიმართა საარჩევნო უფლების ხმების რეზერვუარად გამოყენება მმართველი პარტიის მხრიდან. შესაბამისად, აღნიშნული წარმოადგენს თვალსაჩინო მაგალითს პატრიმონიალური ურთიერთობებისა, როდესაც არაფორმალური ურთიერთობების საფუძველზე ხდება ორ მხარეს შორის არაკანონიერად სარგებლის მიღება ერთმანეთისაგან.

3.3. სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულების ოჯახის წევრებთან ინტერვიუების ანალიზი

რესპონდენტი, რომელიც მოქმედი მსჯავრდებულის ოჯახის წევრია საუბარში აღნიშნავს, რომ მას არ აქვს კონკრეტული ინფორმაცია პენიტენციურ დაწესებულებაში ხმების მობილიზების შესახებ, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მის ოჯახის წევრ პატიმარს გარკვეული მიზეზებით დასჭირდა პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომლის დამზადებაზეც ადმინისტრაციამ უარი უთხრა. აღნიშნულის მიზეზად კი რესპონდენტი მის ოპოზიციურ ორიენტაციას მიიჩნევს (პირისპირი ინტერვიუ, 29.04.2023)

მოპასუხე, რომელიც მსჯავრდებული პიროვნების ყოფილ ცოლს წარმოადგენს ინტერვიუს დროს აღნიშნავს, რომ მისი ყოფილი მეუღლე დაპირებას იძლეოდა, რომ სასჯელაღსრულებით დაწესებულებას ვადაზე ადრე დატოვებდა იმდენად, რამდენადაც ის არჩევნებში პოზიციას უჭერდა მხარს და მისი მეგობრები საპატიმროს გარეთ ხმების მობილიზებაში იღებდნენ მონაწილეობას. გარდა ამისა, რესპონდენტი იხსენებს, რომ გრძელვადიანი შეხვედრების უფლება მათ კანონით დაშვებულზე მეტჯერ ჰქონდათ, რაც, სავარაუდოდ, განპირობებული იყო მისი მუშაობით ადმინისტრაციის ინტერესების სასარგებლოდ (პირისპირი ინტერვიუ, 07.06.2023)

რესპონდენტი, რომელიც ყოფილი მსჯავრდებულის ოჯახის ახლო წევრს წარმოადგენს აცხადებს, რომ მისი ახლობელი პირადი შეხვედრების დროს ხშირად აღნიშნავდა და წუხდა კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან ზეწოლაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ პატიმრის მხრიდან საჩივრის დაწერას, მისი ოჯახის წევრების საცხოვრებელი ადგილიდან მოშორებით, სხვა პენიტენციურ დაწესებულებაში გადაყვანა მოჰყვა. გარდა ამისა, რესპონდენტი იხსენებს, რომ ენმ-ს მმართველობის პერიოდში პატიმარს ფიზიკურად გაუსწორდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები, რის საფუძველზეც მას ნეიროქირურგიული ოპერაცია დასჭირდა, აღნიშნული კი განპირობებული იყო მმართველი პარტიის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობით. გარდა ამისა, რესპონდენტი იხსენებს იმასაც, რომ ქართული ოცნების მმართველობის ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით იმატა კრიმინალური სუბკულტურების ავტორიტეტებმა პენიტენციურ დაწესებულებებში, რომელთა ძალის გამოყენებაც ხდება წინასაარჩევნო პერიოდში (სატელეფონო ინტერვიუ, 05.05.2023).

მსჯავრდებულთა ოჯახის წევრებთან ინტერვიუს ჩაწერისას უფრო მეტად თვალსაჩინო გახდა პენიტენციურ დაწესებულებებში გაბატონებული არაოფიციალური ურთიერთობების არსებობა, რომელთაც ლეგიტიმაცია ადმინისტრაციის მხრიდან აქვთ და საბოლოო ჯამში საარჩევნო პროცესში მმართველი პარტიის ინტერესების სასარგებლოდ ხდება მათი გამოყენება.

3.4. საქართველოს სახალხო დამცველებთან ჩატარებული ინტერვიუების ანალიზი

სახალხო დამცველთან ინტერვიუსას ირკვევა, რომ, მიუხედავად საქართველოს საარჩევნო კოდექსის ლიბერალურობისა, რაც პენიტენციურ დაწესებულებაში ხმების მობილიზებისა და მანიპულირების საშუალებას იძლევა, ის სავსებით თავსებადია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო კონვენციებთან. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი ინტერვიუში მრავალჯერ აღნიშნავს კრიმინალური სუბკულტურების მხრიდან ფიზიკურ თუ სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტებს, მათ შორის 2020 წლის საარჩევნო პროცესს პენიტენციურ დაწესებულებაში ის თავად აკვირდებოდა, რა დროსაც მოხდა მასთან პატიმრების, ე.წ. ავტორიტეტების მხრიდან ფიზიკური დაპირისპირება, ის მაინც მიიჩნევს, რომ პრობლემა საარჩევნო კოდექსში არ უნდა ვეძებოთ, არამედ, უნდა დაიშალოს დიდი დახურული საპატიმროები. გარდა ამისა, რესპონდენტი აღნიშნავს, რომ დღევანდელ პენიტენციურ დაწესებულებაში სამარტოო საკნებისა, დამატებითი სასჯელების გამოყენება და ა.შ. გვაფიქრებინებს, რომ სასჯელაღსრულებითი დაწესებულება და მისი ადმინისტრაცია არ არიან დაინტერესებულები დაიცვან პატიმრები და იზრუნონ მათ რესოციალიზაციასა თუ რეაბილიტაციაზე, შესაბამისად, შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ზემოაღნიშნული საარჩევნო კოდექსის ხასიათი, შესაძლოა, განპირობებული იყოს პატიმრების ხმების რეზერვუარად გამოყენებისათვის (სატელეფონო ინტერვიუ, 02.05.2023).

მეორე რესპონდენტი, რომელიც საქართველოს სახალხო დამცველის პოსტს იკავებდა ქართული ოცნების მმართველობის დროს, ინტერვიუში აცხადებს, რომ ის არაერთხელ გამხდარა მოწმე მმართველი პოლიტიკური პარტიის მხრიდან ადმინისტრაციისა და კრიმინალური ავტორიტეტების გამოყენების გზით ხმების

მობილიზების ფაქტებს. ინტერვიუში ის აღნიშნავს, რომ ზემოთხსენებული ფაქტები უფრო მეტად ინტენსიური გახდა ბოლო წლებში, რასაც თან ასევე ახლავს ბიუროკრატიული დაბრკოლებების შექმნა ოპოზიციურად განწყობილი პატიმრებისათვის. თუმცა, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ხმის მიცემის უფლება საუკეთესო საშუალებაა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციისათვის, რაც, თავისთავად, გულისხმობს მუდმივ კრიმინალურ დაჯგუფებათა ეტაპობრივ ჩამოშლასა და გაქრობას. თუმცა, ინტერვიუში ის ასევე საუბრობს დღევანდელ და მის თანამედროვე პენიტენციურ დაწესებულებებში არსებულ კრიტიკულ პრობლემებზე, რაშიც არასათანადო და არაადამიანური მოპყრობა იგულისხმება პატიმრებისადმი. ამ უკანასკნელს კი პრაქტიკულად ახორციელებენ კრიმინალური სუბიექტები (სატელეფონო ინტერვიუ, 10.05.2023).

ზემოაღნიშნული პასუხებიდან ჩანს, რომ დღევანდელ თუ წარსულ პენიტენციურ დაწესებულებებში, ერთ-ერთი ყველაზე დიდი პრობლემა თავად დაწესებულებების სიდიდე და მასში დასაქმებული ადამიანების რაოდენობის სიმცირეა. რესპონდენტები თანხმდებიან იმაზე, რომ პრობლემა არა საარჩევნო კოდექსშია საძიებელი, არამედ სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების სისტემაში. აღსანიშნავია ასევე, რომ ყველა რესპონდენტი ექსპერტის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ზემოთხსენებულ და სხვა სამართალდარღვევებთან დაკავშირებით გაცემულ იქნა არაერთი რეკომენდაცია, რომელთა მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილი იქნა შესრულებული, ხოლო დანარჩენი კი იგნორირებული.

დასკვნა

პოლიტიკური არჩევნები, როგორც ხელისუფლების მოთოკვისა და საერთო ნების არტიკულირების მექანიზმი, ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში მთავარ ღრებულებას წარმოადგენს. შესაბამისად, არჩევნების ლეგიტიმურობის ხელყოფა პირდაპირი საფრთხეა საერთო ნების გამოხატვისათვის. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია საქართველოს ისტორიული გამოცდილება, კერძოდ, კრიმინალური ავტორიტეტების გამოყენება მოწყვლადი ჯგუფების მობილიზაციისათვის, ქმნის ზემოთხსენებული არაფორმალური სუბკულტურის ნორმალიზების საშიშროებას. ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა პოლიტიკურ არჩევნებში პატიმართა როლის შესწავლა, პოლიტიკური არჩევნების თავისუფლების ხარისხის დადგენა და მმართველი პარტიის მხარდაჭერის ტენდენციის გამოვლენა/შესწავლა. ყოველივე ზემოთთქმული მიზანი კი განხორციელებულ იქნა ჩატარებული ინტერვიუების, შესწავლილი დოკუმენტებისა და ნაშრომების მეშვეობით, რომელთა შეჯამებისა და გაანალიზების შედეგად დადგინდა, რომ პატიმრები თანამედროვე საქართველოს რელობაში აღქმულნი არიან, როგორც ელექტორალური რეზერვუარები. ამ უკანასკნელის გენერირებაში კი, მთავარ როლს კრიმინალური ავტორიტეტები თამაშობენ, რომლებიც ადმინისტრაციისა და მმართველი პოლიტიკური სუბიექტების მითითებებით მოქმედებენ. შესაბამისად, პატიმრების პოლიტიკური არჩევანი განპირობებულია პოლიტიკური ელიტების ზეწოლით.

ჩატარებული ინტერვიუებისა და დამუშავებული მონაცემების საფუძველზე ნათლად ჩანს, რომ დაშვება- თანამედროვე საქართველოში საარჩევნო პროცესში პატიმართა ჩართულობა ხასიათდება მმართველი პარტიის მიმართ მხარდაჭერის ტენდენციურობით, ცალსახად, გამართლდა იმდენად, რამდენადაც ენმ-სა და ქართული ოცნების მმართველობის პერიოდში პენიტენციურ დაწესებულებებში პატიმრები მმართველი პარტიის მიმართ მხარდაჭერას, მეტ-ნაკლებად, თანაბრად გამოხატავენ, რაც ასახულია პირველ და მეორე დიაგრამაზე. მეორე დაშვება- თანამედროვე საქართველოს საარჩევნო პროცესში პატიმართა ჩართულობა ხასიათდება იერარქიული ტრიადის ზეგავლენით, პირველის მსგავსად, გამართლდა

იმდენად, რამდენადაც კვლევის პროცესში ჩატარებული ინტერვიუები თუ დოკუმენტებისა და ანგარიშების ანალიზი ცხადყოფს როგორც ზოგად მდგომარეობას პენიტენციურ დაწესებულებებში წინასაარჩევნოდ და არჩევნების მიმდინარეობისას, ასევე კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც იერარქიული ტრიადასა და პატიმრებს შორის ხმებით ვაჭრობაზე მეტყველებს.

დაშვებების დასამტკიცებლად თეორიულ ჩარჩოდ კვლევაში პატრიმონიალური და ნეოპატრიმონიალური თეორიებია გამოყენებული. მაქს ვებერის აღნიშნული თეორიები ხსნის პატრონ-კლიენტელისტური ურთიერთობების იერარქიასა და ფუნქციონირების მექანიზმებს. აღსანიშნავია, რომ ავტორი ამ არაფორმალურ კავშირებს პოლიტიკურ ჩავარდნებსა და კრიზისებს უკავშირებს, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია დემოკრატიულ ტრანზიციაში მყოფი სახელმწიფოებისათვის. გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო ახალდემოკრატიული სახელმწიფოა, სადაც დემოკრატიულ ღირებულებებსა და მექანიზმებთან ერთად თანაარსებობს ავტოკრატიული ნიშანთვისებები. ამ უკანასკნელის ერთ-ერთი მაგალითი სწორედ პენიტენციური სისტემაა იმდენად, რამდენადაც ადამიანთა უფლებების ეგიდით ჩატარებული არჩევნები მხოლოდ ფასადურია და ფასადს მიღმა ავტოკრატიული სისტემისათვის დამახასიათებელი არაფორმალური ურთიერთობების ბატონობაა. აღნიშნული თეორია, ცალსახად, ეხმიანება საკვლევ თემას იმდენად, რამდენადაც თანამედროვე საქართველოს რეალობა ვებერისეულ თეორიაში აღწერილია, როგორც პოლიტიკურ ჩავარდნა, რომელიც დემოკრატიზაციის თანმდევი კრიზისია. ვებერის მიერ შემოთავაზებული თეორია ნათლად ასახავს იმ იერარქიულ, არაფორმალურ ურთიერთობებს, რასაც კვლევაში იერარქიული ტრიადა ეწოდა, რომელიც კუთვნილი ძალაუფლების გასამყარებლად ბენეფიტების გაცემასაც არ ერიდება. შესაბამისად, დღევანდელ პენიტენციურ დაწესებულებებში პატრიმონიალური ურთიერთობების ცალსახა გამოხატულებას ვხვდებით.

საქართველოს თანამედროვე რელობისა და ბოლო დროს განვითარებული პოლიტიკური მოვლენების გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქვეყანაში დემოკრატია მეტად მყიფეა და მის გასამყარებლად მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმაა საჭირო, ერთ-ერთი ასეთი ნაბიჯი არჩევნების ლეგიტიმურობის გამყარებაა.

იმისათვის, რომ არსებული დაბრკოლებები დემოკრატიზაციის გზაზე აღმოფხვრილ იქნას, მნიშვნელოვანია მათი გაანალიზება და დღის წესრიგში დაყენება, რასაც არსებული კვლევა ემსხურება. აღსანიშნავია, რომ ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა მოიცავს მხოლოდ სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მყოფ პატიმრებს და ფოკუსირებულია ამ ჯგუფზე განხორციელებული პოლიტიკური ზეწოლის შესწავლასა და გაანალიზებაზე. თუმცა, გარდა ზემოაღნიშნული ჯგუფისა, აღსანიშნავია, რომ სისტემას მიეკუთვნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც არიან პრობაციონერები და რომელთა რაოდენობაც მეტად აღემატება პატიმართა რაოდენობას. ამ უკანასკნელი სოციალური ჯგუფის შესწავლა მეტად მნიშვნელოვანია, გამომდინარე მათი რაოდენობიდან, მათი პოლიტიკური ნება იმდენადვე გადამწყვეტი და მნიშვნელოვანია საერთო ნებისათვის, როგორც პატიმრების. შესაბამისად, ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების გზაზე შემდგომი ნაბიჯი პრობაციონერებისა და მმართველი ელიტის ურთიერთობათა შესწავლა და საკითხის დასმაა.

გამოყენებული ლიტერატურა

ამილახვარი, ალ. (1780). ბრძენი აღმოსავლეთისა.

http://kulturiskvlevebi.weebly.com/uploads/1/8/3/7/18376403/vi_leqcia_aleqsandre_amilaxvari..docx

ლეველენი, ტ. (2003). პოლიტიკური ანთროპოლოგია : შესავალი.

ლობჟანიძე, გ. & ღლონტი, გ. (2004). ისტორია და რეალობა: კანონიერი ქურდები საქართველოში

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2004).

https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373539049.pdf

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2006).

https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373642694.pdf

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2007).

https://ombudsman.ge/res/docs/2019040411373659470.pdf

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2008) . I ნაწილი.

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2008). II ნაწილი.

H

Y

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2012).

P

H

E

Y

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2018).

P

H

E

Y

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2020).

P

N

E

X

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2021).

P

N

E

X

საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიში (2022).

P

N

E

X

E

R

P

N

ფუკუიამა, ფ. (2013). დემოკრატია და მთავრობის ხარისხი.

X

E

R

P

N

E

X

E

R.

N

ფუკუიამა, ფ. (2014). პოლიტიკური წესრიგი და პოლიტიკური ჩავარდნა.

ხუბუა, გ. (2015). სამართლის თეორია.

https://dokumen.tips/documents/-pdf55cf91d0550346f57b90f6a1.html?page=1

ჰობსი, თ. (1651). ლევიათანი.

ჰეივუდი, ე. (2007). პოლიტიკა

Barach, P. Baratz, M. S. (1962). Two faces of power.

http://www.columbia.edu/itc/sipa/U6800/readings-sm/bachrach.pdf

C

a

Dahl, R. (1971). Polyarchy: Participation and Opposition.

Dahl, R. (1989). Democracy and its Critics.

Dhami, M.K. (2013). Prisoner Disenfranchisement : Prisoner and Public Views of Invisible Punishment.

https://psycnet.apa.org/record/2013-43051-015

Duff, R.A. (2001). Punishment, Communication and Community.

https://books.google.ge/books?id=cuW2jAgCJSkC&printsec=copyright&redir_esc=y#v=onepage&q&f=false

Ferguson, T. (1995). Investment theory of politics.

https://www.wrightswriting.com/golden-rule

Foucault, M. (1975). Discipline and Punish The Birth of the Prison.

https://monoskop.org/images/4/43/Foucault_Michel_Discipline_and_Punish_The_Birth_of_the_Prison_1977_1995.pdf

Mosca, G. (1884). Theory Of Governments and Parliamentary Government.

Mosca, G (1939).The Political Class.

Montesquieu, CH. (1748). The Spirit of Laws.

Machiavelli, N. (1532). The Prince.

Hayek, F. (1944). The Road to Serfdom.

https://ctheory.sitehost.iu.edu/img/Hayek_The_Road_to_Serfdom.pdf

Weber, M. (1922). Economy and Society.

Zakaria, F. (1998). Democracy.

Lewitsky, S. Way, L. (2002). Competitive Authoritarianism: Hybrid Regimes after the Cold War. https://scholar.harvard.edu/levitsky/files/SL_elections.pdf

Linz, J. (1990). Presidentalism, and Democracy.

Lopez-Guerra, C. (2014). Democracy and Disenfranchisement: The Morality of Electoral Exclusions.

Martinson, R. (1970). What works? – Questions and answers about prison reform. https://gwern.net/doc/sociology/1974-martinson.pdf

Michels, R. (1915). Iron law of oligarchy. https://www.csun.edu/~hbsoc126/soc1/chapter%207%20supplement.pdf

Packard, V. (1957). The Hidden Persuaders. http://www.ditext.com/packard/persuaders.pdf

Pettus, I. (2002). Felony Disenfranchisement in America.

Penal Reform International. (2016). The Right of Prisoners to vote : a global overview. https://cdn.penalreform.org/wp-content/uploads/2016/08/The-right-of-prisoners-to-vote_March-2016.pdf

Pareto, V. (1968). Democracy

Ramsey, F. (2015). Democratic Equality. https://www.jstor.org/stable/26381164

Ramsey, P. (2013). Faking Democracy with Prisoners' Voting Right. https://eprints.lse.ac.uk/48985/1/WPS2013-07_Ramsay.pdf

Rousseau, J.J. (1762). The Social Contract

Sutherland, E. H. (1937). The Professional Thief. https://press.uchicago.edu/ucp/books/book/chicago/P/bo50779320.html

Schattschneider, M. (1942). Party Government: A Rationalistic Conception.

Shirk, S. L. (2005). China: Fragile Superpower.

Tabatadze, S. Dundua, S. Chkuaseli, K. (2022). Liberal-Democratic Values and Secondary School: The Case of Georgia.

https://www.researchgate.net/publication/364502979_Liberal-democratic_values_and_secondary_school_The_case_of_Georgia

The Foundation of International Human Rights Law, (1948). https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights

UN General Assembly, Universal Declaration of Human Rights. (1948). https://www.un.org/en/about-us/universal-declaration-of-human-rights

UN Human Rights Committee, General Comment No.25 : the right to participate in public affairs, voting rights and right of equal access to public service (art.25), 1996 https://www.equalrightstrust.org/ertdocumentbank/general%20comment%2025.pdf

Viljoen, F. (2012). International Human Rights Law : a Short History. https://www.un.org/en/chronicle/article/international-human-rights-law-short-history

Whitt, M. S. (2017). Felony Disenfranchisement and Democratic Legitimacy. https://www.jstor.org/stable/26381164

დანართი

დანართი N1

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი ადმინისტრაციის თანამშრომლებისთვის

1. რა როლს თამაშობს რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის პროცესში პატიმართათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

2. იმის გათვალისწინებით, რომ პატიმართა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს მიუწვდება ხელი ტელე-რადიო თუ სხვა საინფორმაციო წყაროებზე, რამდენად დასაშვებია პატიმრებისათვის ასეთი ფართო უფლება ხმის მიცემის საკითხში?

3. რამდენად თანხვედრაშია დასავლური ქვეყნების საარჩევნო პრაქტიკა და როგორ გგონიათ, იცავს პატიმრებს პოლიტიკური ზეწოლისაგან?

4. თუ გქონიათ შეხება ან თუ გსმენიათ წინასაარჩევნოდ საპატიმროებში ხმების მობილიზების შესახებ?

5. ანგარიშებში საუბარია დინამიურ უსაფრთხოებაზე, როგორ ფიქრობთ, ეს და სხვა მექანიზმები რამდენად შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური სარგებლის მისაღებად?

6. სახალხო დამცველის ანგარიშებში საუბარია ბიუროკრატიულ დაბრკოლებებზე, მაგალითად პირადობის დამადასტურებელი მოწმობის დამზადების უარყოფაზე, ამაზე რას მეტყვით?

7. რას მიიჩნევთ სასჯელაღსრულებითი დაწესებულების მთავარ პრობლემად და როგორ უნდა მოგვარდეს?

დანართი N2

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი სახალხო დამცველისთვის

1. თქვენი გამოცდილების ფონზე, რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს არჩევნებში მონაწილეობის უფლება პატიმართა რესოციალიზაციისა და რეაბილიტაციის საქმეში?

2. იმის გათვალისწინებით, რომ პატიმართა მხოლოდ გარკვეულ ნაწილს მიუწვდება ხელი ტელე-რადიო თუ სხვა საინფორმაციო წყაროებზე, რამდენად დასაშვებია პატიმრებისათვის ასეთი ფართო უფლება ხმის მიცემის საკითხში?

3. სახალხო დამცველის ანგარიშებში ასახულია რეკომენდაციები დიდი და დახურული პენიტენციური დაწესებულებების დაშლაზე, რაც იქ არსებული კრიმინალური სუბკულტურითაა მოტივირებული. პატარა დაწესებულებებში არჩევნები გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით ტარდება, რაც შეუძლებელს ხდის საპატიმროებში მიღებული შედეგების ანალიზის კუთხით. ამაზე რას იტყვით?

4. გსმენიათ თუ არა პატიმრებზე განხორციელებული პოლიტიკური ზეწოლის შესახებ წინასაარჩევნოდ?

5. ანგარიშებში საუბარია დინამიურ უსაფრთხოებაზე, როგორ ფიქრობთ, ეს და სხვა მექანიზმები რამდენად შეიძლება გამოყენებულ იქნას პოლიტიკური სარგებლის მისაღებად?

6. 2024 წლისთვის როგორც ვიცით იგეგმება რომ დაახლოებით 70% არჩევნების ჩატარდეს ელექტრონული ფორმით, და თქვენი აზრით ეს რაიმე პოზიტიურ გავლენას იქონიებს პენიტენციურ დაწესებულებებში საარჩევნო პროცესზე?

7. სახალხო დამცველთა ანგარიშებში საუბარია დეესკალაციის ოთახების გამოყენებაზე, ჰაერზე გასვლის აჯრძალვაზე, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე პატიმრებს შორის, ასევე ადმინისტრაციის გულგრილობაზე და ა.შ. ამის ფონზე დღევანდელი საარჩევნო კოდექსის ლიბერალური ხასიათი რამდენადაა მოტივირებული ადამიანთა უფლებების დაცვით?

დანართი N3

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი პატიმართა ოჯახის წევრებისთვის

1. რომელი ხელისუფლების მმართველობის დროს მოხვდა თქვენი ოჯახის წევრი პენიტენციურ დაწესებულებაში?

2. თქვენს მსჯავრდებულ ახლობელს აქვს თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

3. თუ გხმენიათ პატიმრისგან, პოლიტიკური ელიტების ან ადმინისტრაციის მხრიდან წინასაარჩევნო ზეწოლებზე?

4. პირადობის მოწმობა თუ დაუმზადეს?

5. მსჯავრდებულის პოლიტიკური ორიენტაციის შესახებ თუ გაქვთ ინფორმაცია?

6. აქვს თუ არა წვდომა საინფორმაციო წყაროებზე?

7. თქვენი აზრით უნდა ჰქონდეთ თუ არა პატიმრებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

დანართი N4

ნახევრად-სტრუქტურირებული ინტერვიუს გზამკვლევი პატიმრებისთვის

1. რომელი ხელისუფლების მმართველობის პერიოდში იმყოფებოდით პენიტენციურ დაწესებულებაში?

2. გქონდათ თუ არა არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

3. თქვენს გარშემო იყვნენ ისეთი პატიმრები რომელთაც ჰქონდათ არჩევნებში მონაწილეობის უფლება?

4. მაინტერესებს, ტელე-რადიო, ჟურნალ-გაზეთებზე ან სხვა საინფორმაციო წყაროებზე წვდომა თუ გქონდათ თქვენ ან სხვა პატიმრებს?

5. პირადობის დამადასტურებელი მოწმობა გქონდათ?

6. წინასაარჩევნო პერიოდში თუ მოუწოდებიათ ინფორმაცია საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ბროშურების ან სხვა სახით?

7. თქვენ თუ გქონიათ შეხება ხმების მობილიზებასთან?

8. პოლიტიკური ზეწოლა წინასაარჩევნოდ უფრო ინტენსიური ხდებოდა?

9. პრობაციონერი თუ ყოფილხართ ოდესმე?

10. პრობაციონერობის პერიოდში თუ ყოფილა მოწოდება ხმის მიცემასთან დაკავშირებით?